ტარებო მთელი ქვეყნისა შეერთდით!

ხუთის წლისთავი

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სსრ საქ. მ, გ. წ. არ. და
მტრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე

ტელეფონი { 14—76. რედაქტორის.
10—58. მდივანის.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 10—49.

ხელის მოწერის თვიური ფასი: მუშა-მოსამსახურეებისათვის 65 კ. დანარჩენებისათვის ქალაქში 85 კაპ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—95 კაპ. 20 კაპ. ხელმოწერებით მომბარებლის სტრიქონი. საშუალოგიური განცხადება 5 მან. სტრ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 2 საათ

№ 114 (969) ოთხშაბათი, 21 მაისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კაპ. (500 მილ.) № 114 (969)

დღიური

— რუსეთის კომპარტიის მეცამეტე ყრილობა გაიხსნება 23 მაისს.

— პოლონეთის ციხეებში საშინლად სცემენ პოლიტიკურ პატიმრებს; ამ ნიადაგზე ადგილი ჰქონდა სიკვდილის რამდენიმე შემთხვევას.

— გაიხსნა ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის [illegible] სტრების თათბირი.

— ოსმალეთის პრესა სასტიკად ილაშქრებს პუანკარეს პოლიტიკის წინააღმდეგ.

ს. კ. პ. თბ. კომიტეტი წინადადებას იძლევა
ერთიან პარტიულ დღეს
დასვით საკითხი საქართველოს კომუნისტური პარტიის მესამე ყრილობის შედეგების შესახებ.
მეულ მიმდგრეობულ ამხანაგებისთვის და უჯრედების მდივნებისთვის ხანის მიერ გაკეთებულ იქნება საინსტრუქციო მოხსენება პარტიულ კლუბში 22 მაისს საღამოს 6 საათზე.
თბ. კომ. პასუხისმგებელი მდივანი: კახიანი.

მუშურ-გლეხური ჯარი

ამას წინად შევეხეთ წითელ ი მორიგ გაწვევას. აგრეთვე ყენებული იყო ამ საკითხზე სხვა მასალა. გუშინ კიდევ ეთ ჩვენი ცეკას მოწოდება სა ლოს მშრომელ ხალხისადმი ე წითელ ლაშქარში 1902—3 ში დაბადებულთა გაწვევის შე

მეთა ხელისუფლება, როგორც ი საქმეში, ჯარის გაწვევის საც, მთლიანად ემყარება მშრომელ ხალხის შეგნებას, მის თვითმოქმედებას.

ამიტომ რა რიგ განსხვავდება ის გაწვევა ჩვენში ასეთისაგან კაპიტალისტურ ქვეყნებში!

ესაა საქმე მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიულ სახელმწიფო აპარატის რეპრესიის, იძულების, ჩვენში სახელმწიფოებრივი ღონისძიება ნაციული გამოხატულებაა ხალხის ნებისყოფის.

ხი თვითონ გზავნის ჩვენში თავის შვილებს ჯარში, აძლევს მათ ანს, დავალებას. ასეთი რამ ული, წარმოუდგენელი არის კაპიტალიზმის სამეფოებში.

მშრომელი ხალხი დაპირდაპირებულია მთავრობას, და ეს უკანასკნელი ჯარში გაწვეულ მუშებს და ებს იყენებს თვით მათი, მშრომელ მასის დასამონებლად.

ამიტომ ცხადია, რომ იქ ჯარის გაწვევას არ აქვს ის ნებაყოფლობითი და შეგნებული ხასიათი, რასაც ვხედავთ საბჭოთა რესპუბლიკაში.

ჩვენი წითელი ლაშქარი, შემდგარი მარტოოდენ მუშებისა და გლეხებისაგან, არის ორგანიზაცია მათი ინტერესების დამცველი, რევოლუციის მონაპოვართა დარაჯი, ხალხის ბედნიერების გუშაგი ყოველგვარ მტრებისაგან, და ამიტომაცაა, რომ წითელ ჯარში სამსახური წმინდა მოვალეობაა, წითელ არმიელის სახელი კი საპატიო და შარავანდედით მოსილი.

წითელ არმიამ, რომელიც შეიქმნა თა კლასის გამარჯვებული ბრძოლის პროცესში ყველა მის მტრებთან,—მემამულეებთან, ბურჟუაზიასთან, გარეშე იმპერიალისტურ ქვეყნებთან,—მთელი წლების განმავლობაში გმირულად გადაიტანა მათი შეგებული თავდასხმა, გაანადგურა შინაური კონტრ-რევოლუცია, ქცია საერთაშორისო ბურჟუაზია და მოგვიპოვა მშვიდობიანი ომის, აღმშენებლობის საშუალება.

დღესაც წითელი არმია ღირსეული მატარებელია თავის ახლო წარსულის ბრწყინვალე ტრადიციების. ვე რევოლუციონური ენერგიით ნებისყოფით ელისავე—ფხიზლად დგას მშრომელთა რესპუბლიკების საზღვრების სადარაჯოზე.

ძლიერი და მძლავრი არმია ჩვენ დღესაც ისევე გვესაჭიროება, როგორც განვლილი გახურებული ბრძოლის პერიოდში.

ვან მიეცემა ილიუზიას, რაკი თა კავშირის საერთაშორისო მარეობა საგრძნობლად განმტკიცდა, რაკი შეუდგით ფეხი იმპერიალისტურ სახელმწიფოების მიერ ჩვენი ცნობის ხანაში,—თითქო ჩვენ აწი საფრთხე არ მოგველოდეს და წითელ არმიას დაეკარგოს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა.

ასეთი აზრის გაძლიერებაც-კი გულუბრყვილობა და ამასთან დანაშაულობა იქნება.

ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა მტკიცდება იმდენად, რამდენადაც მტკიცდება ჩვენი შინაური მდგომარეობა, რამდენადაც ჩვენ გვყავს და კვლავ გვეყოლება მძლავრი შეიარაღებული რევოლუციონური ძალა. ამ ორ გარემოებას შორის არსებობს ურყევი პროპორციული დამოკიდებულება.

ამასთან ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში არამც თუ არ მცირდება შეიარაღება, არამედ უფრო მატულობს. მათ თოფ ქვეშ ყავთ უფრო მეტი ჯარისკაცი, ვინემ იმპერიალისტური ომის დროსთვის.

რა თქმა უნდა, რომ მილიტარიზმის სიმძიმის ქვეშ იხრჩობიან ეს სახელმწიფოები არა ტყუილ-უბრალოდ: ისინი ემზადებიან ახალი მსოფლიო ომისათვის. და ცხადია, ეს ომი რომ მოხდეს, პირველყოვლისა და უმთავრესად მიმართული იქნება გამარჯვებული მუშების და გლეხების რესპუბლიკათა წინააღმდეგ.

ჩვენზე გალაშქრების ცდის რეციდივები (განმეორება) დროგამოშვებით ეხლაც იჩენს თავს (გერმანია და საბჭოთა კავშირის კონფლიქტი, ბესარაბიის საკითხი, ინგლისელ ბანკირების მემორანდუმი, ამერიკის ინტრიგები და მრ. სხვა). ეს გარემოება მოგვაგონებს, რომ ახლაც უნდა შევინარჩუნოთ მძლავრი შეიარაღებული ძალა, რათა ხოლმე ქლიქის მოციქულებს ხალისი დავუკარგოთ „ბედის ცდის" მოხდენის.

საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად მთელ ჩვენ მშრომელ ხალხს ესმის ეს. ამიტომაც არც დაიშურებს თავის საუკეთესო შვილების გაგზავნას მუშურ-გლეხურ არმიაში.

საქართველოს წითელი არმია ერთი პატარა რაზმთაგანია საბჭოთა კავშირის და მთელი კომუნისტური ინტერნაციონალის უძლეველი წითელი ლაშქრის. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ქვეყანა არ ჩამორჩება დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებს მუშურ-გლეხურ ჯარის შექმნა განმტკიცებაში ამას დაადასტურებს ახალგაზრდათა მორიგი გაწვევა, რომელიც ამ დღეებში გამოცხადდება.

ამ გაწვევას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, მნიშვნელობა არა მარტო ვიწრო სამხედრო თვალსაზრისით გაწვევასთან დაკავშირებით ჩვენ უნდა გავწიოთ ფართე პოლიტიკური კამპანია, ავამოძრაოთ ხალხის თვითმოქმედება, განვუმარტოთ მას ჩვენი საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის საკითხები, განვამტკიცოთ შეგნებული კავშირი ხალხსა და მის ხელისუფლებას, მუშურ-გლეხურ მთავრობას შორის.

ჩვენმა პარტიულ ორგანიზაციებმა და ცალკე ამხანაგებმა ამ საქმეში უნდა გამოიჩინონ საჭირო ინიციატივა და ენერგია.

მივცეთ სოფელს კარგი მასწავლებელი

ველასათვის ცხადია, რომ სწავლა ნათლების საქმეს საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს. ეჭვია განმეორება იმ ციფრებისა, რომელიც ნათლად მოწმობენ თუ მდენად განვითარდა ეს დარგი აღმშენებლობისა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. სწავლა-განათლების საქმეში საბჭოთა ხელისუფლება ადგია სწორ და შეურყეველ ზას. ის ყოველგვარად ცდილობს მის გაუმჯობესებას, სკოლების რიცხვის გაზრდელებით, შრომის პრინციპების ნერგებით და სხვა

მაგრამ ერთი დიდი საკითხი ამ ში როგორადაც ვერ არის მოწესრიგებული

საქმე შემდეგშია: ძველი, მენშევიკურ მთავრობისაგან ჩვენ მივიღეთ ელი სკოლა, რომლებიც მარტო ნაღდზე თუ არსებობდენ, ხოლო სინამდვილეში ისინი სრულიად ღირსი არ იყვნენ სკოლის სახელისა, უმეტესად მასწავლებლების სრული უვარგისობის გამო. იყო დრო, როცა სოფლში მასწავლებლად მიდიოდა საქმეში სრულიად მოუმზადებელი რი.

ეს სენი ჩვენც გადმოგვყვა და ლომ უკანასკნელამდე მრავალთა სოფლებში, როდესაც მასწავლებლად ტები პედაგოგიურად სრულიად მზადებელი პირი. ქალაქის ლების მდგომარეობა ამ მხრივ უკეთესაა. იქ შეძლებისდაგვარად დაცულია სათანადო შერჩევა პედაგოგიურ პერსონალისა. რაც შეეხება პროვინციას იქ ხშირია შემთხვევები მასწავლებლად გამოუცდელი პირების დანიშვნისა. ვერავითარმა გაწმენდამ და სხვა ენერგიულ ზომებმა ვერ მისცა სოფელს გამოცდილი, შესაფერი მასწავლებელი, და რომ სწორედ ასეთი მასწავლებელია სოფლისათვის საჭირო ამაზე ზედმეტია ლაპარაკი. სოფელს ხშირად ერთი ინტელიგენტური აქტიური ძალა ჰყავს—მასწავლებელი და თუ იგი განვითარებული და გამოცდილი არ არის, ვერავითარ სარგებლობას ვერ მოიტანს. შემჩნეულია აგრეთვე მოვლენა, რომ მაშინ როცა სოფელს გამოცდილი მასწავლებელი აკლია, ქალაქში აუარებელი უმუშევარი მასწავლებელი გვყავს.

საინტერესო სტატისტიკას გვაძლევს ქ. თბილისის და მის მაზრის მასწავლებელთა ცენზის და სტაჟის შედარება (ცნობები ეხება 1 თებერვალს 1924 წელს) ქ. თბილისში გვაქვს 4 წლიანი შრომის სკოლა 27, მაზრაში 112. ამ ოთხ წლედებში თბილისის სკოლებშია 265 მასწავლებელი და მაზრაში კი 155. მაზრაში მასწავლებელთა რიცხვის შედარებითი სიმცირე აიხსნება მით, რომ მაზრის სკოლები უმთავრესად დაუმთავრებელი 4 წლედები, ან 2 ჯგუფიანი. თავისთავად ცხადია თანდათანობით ეს რიცხვი გაიზრდება. საჭირო იყო, რომ მაზრაში მასწავლებელთა რიცხობრივი სიმცირე ანაზღაურებულ ყოფილიყო მათ მაღალი განვითარებით და გამოცდილებით, მაგრამ ციფრები სხვას გვეუბნებიან.

მასწავლებელთა განათლების ცენზი.

თბილისში.

უმაღლეს ცოდნის	23 მასწ.	8,7 პროც.
უმაღლეს დაუმთავ.	7 „	2,6 პროც.
საშუალო —	198 „	74,7 პროც.
სპეციალური —	37 „	14 პროც.
სულ	265 მასწ.	100 პროც.

მაზრაში.

უმაღლესი სწავლა	3 მასწ.	1,9 პრ.
საშუალო „	97 „	62,6 პრ.
დაბალი „	55 „	35,5 პრ.
სულ	155 მასწ.	100 პრ.

ამ შედარებას არ სჭირდება განმარტება აქედან ნათლად სჩანს, რამდენად დაბლა სდგას მომზადებით მაზრის მასწავლებლობა. უმთავრესად ყურადღება მისაქცევია მასწავლებელთა 35,5 პროც. დაბალი განათლებით.

სტაჟი

ტფილისში

1-5 წლის სტაჟით	76 მასწ.	29 პრ.
6 10 „	„ 69	„ 26 პრ.
11 წელ. მეტი	120	„ 45 პრ.
სულ	265 მასწ.	100 პრ.

მაზრაში

1 5 წლის სტაჟით	78 მასწ.	50 პრ.
6 10 წლის	„ 46	„ 30 პრ.
11 წელ. მეტი	31 მასწ.	20 პროც.
სულ	155 მასწ.	100 პროც.

თბილისის განათლების განყოფილებამ კარგად იცის ეს მდგომარეობა. იგი ყოველგვარ ზომებს ღებულობს რომ მისცეს მაზრას მომზადებული მასწავლებელი, მაგრამ მისი ცდა ერთ დიდ დაბრკოლებას ეჯახება, დაბრკოლება მართლაც დიდია. ძალიან იშვიათია შემთხვევა, რომ მასწავლებელი მაზრაში გამგზავრებას დასთანხმდეს, ზევრ შემთხვევებში იგი თბილისში უმუშევრობას ამჯობინებს სოფლად გასვლას. დღევანდელ მომენტში, როდესაც ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ სოფლის კულტურულად აღორძინებას, საჭიროა ზემოხსენებულ მოვლენას უდიდესი ყურადღება მიექცეს. საჭიროა დავაინტერესოთ ჩვენი მასწავლებლობა სოფელში მუშაობით. საჭიროა განსაკუთრებულად ვიზრუნოთ სოფლის მასწავლებლის მატერიალურად უზრუნველყოფაზე. შევქმნათ ისეთი პირობები, რომ სოფელში მივიზიდოთ საუკეთესო ძალები ჩვენი მასწავლებლობისა. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლად დიდი გარდატეხა მოხდა. თუ წინ ჩვენი სოფელი (განსაკუთრებით აღმოსავლეთი საქართველო) პასიურად ეპყრობოდა სწავლა განათლებას. ახლა იგი მოისწრაფის ასეთისაკენ. მას სწყურია სწავლა, რათა შეიძლოს გაიგოს ყველაფერი, რაც მის ირგვლივ ხდება. ასეთ მდგომარეობის დროს სოფელს ჩვენ უნდა მივცეთ განვითარებული და გამოცდილი მასწავლებელი. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს მომავალ სასწავლო წლისათვის

გ. ბ.

ახალი გაწვევა ჯარში

გასულ 1923 წლის მაისში მოხდა 1901 წ. დაბადებულთა ჯარში მორიგი გაწვევა. ერთი წლის განმავლობაში ეს ახალგაზრდობა იწვრთნებოდა წითელ ყაზარმებში, ეძენდა სპეციალურ (სამხედრო) და პოლიტიკურ ცოდნას.

საერთოთ უნდა აღინიშნოს, რომ წითელმა არმიამ მთლიანად და კერძოთ კი საქართველოს წითელმა ჯარმა დიდ შედეგებს მიაღწია. მაუხედავად მოკლე დროისა, შარშან გამოწვეულ წითელმა არმიელებმა სამხედრო და პოლიტიკური პროგრამა ზედმიწევნით დაიარეს, რაც სხვათა შორის უნდა მიეწეროს ქართულ წითელ ჯარის ხელმძღვანელების: კომანდირების და პოლიტმუშაკების დაუღალავ შრომას და ენერგიას.

1901 წელში დაბადებულთ გაუთავდათ სამსახურის ვადა და ისინი კვლავ უბრუნდებიან თავიანთ ოჯახებს, უბრუნდებიან მშვიდობიან მუშაობას სოფლათ—ხოლო თუ რევოლუციის საჭიროებამ, მუშურ გლეხურ სახელმწიფოს ინტერესებმა მოითხოვა, ისინი უკვე ცოდნით შეიარაღებულნი კვლავ შეავსებენ ჩვენი წითელი ჯარის რიგებს.

ამნაირად, თუ შარშან ჯარში გაწვეულთა უმრავლესობა მოვიდა წერა კითხვის უცოდინარი კულტურულად და პოლიტიკურად გაუწვრთნელი, ეხლა ისინი თავიანთ ოჯახებში ბრუნდებიან წერა კითხვის მცოდნენი, პოლიტიკურად გათვითცნობიერებულები, შეგნებული მოქალაქენი საბჭოთა რესპუბლიკისა. ასეთი წითელ არმიელი, უეჭველად გამოყენებული იქნება სოფლად. ადგილობრივმა ხელისუფლებამ უეჭველად უნდა ჩააბას ისინი სამუშაოთ სხვა და სხვა ორგანოებში, რაც ძალიან შეუწყობს ხელს სოფლის წინსვლასაც.

მათ უვადო შვებულებაში გაშვებასთან ერთად იწყება ამ თვის 25-დან 1902 წელში დაბადებულთა მორიგი გაწვევა ჯარში მათი მომზადების და გათვითცნობიერების მიზნით დიდი მოსამზადებელი მუშაობა მიმდინარეობს. ჩვენი წითელი ყაზარმები მოუთმენლად მოელიან მომავალ წითელ არმიელებს; ჩვენი კომანდირები და პოლიტმუშაკები მზად არიან მოახმარონ თავიანთი ენერგია ახალი წითელი არმიელების აღზრდა-განვითარების საქმეს.

მორიგი გაწვევის ნორმალური მსვლელობის მიზნით საჭიროა საბჭოთა და პარტიულმა ორგანიზაციებმა მჭიდრო კავშირი იქონიონ სათანადო სამხედრო უწყებებთან, ხელი შეუწყონ გამოწვევის წარმატებით ჩატარებაში, ცნობების მიცემით, აგიტკამპანიების ჩატარებით და სხ.

ადგილობრივმა ორგანოებმა სათანადო დახმარება უნდა გაუწიონ სამხედრო კომისარიატებს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე 23, 65 და საქართველოს კონსტიტუციის მე-120 მუხლების ცხოვრებაში სავსებით გასატარებლად:

ადგილებში მომუშავე სამხედრო მაგიდის გამგეებმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ სიების გადასინჯვას ე. ი. იმას, თუ ვის და რამდენს—1902 წელში დაბადებულ მოქალაქეებიდან არა აქვს უფლება წითელ ჯარში სამსახურისა მათი კლასიური მდგომარეობის თუ სხვა გარემოების გამო. ამ საქმის კეთილსინდისიერათ შესრულებას აქვს დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან ჩვენი ჯარი არის მხოლოდ კლასიური ჯარი, რომელიც შესდგება მხოლოდ მშრომელი მასებისაგან და რომ უცხო ელემენტი გაუგებრობით ან შეცდომით ვერ უნდა შეიპაროს მის რიგებში. ამიტომ საჭიროა საქმისადმი დიდი ყურადღება, ნამდვილი ცნობების შეკრება და წარდგენა დანიშნულებისამებრ ყოველგვარ გაუგებრობისა და შეცდომის თავიდან ასაცილებლად. თუ შარშან ამ მხრივ ჩვენი მუშაობა არ იყო სავსებით უნაკლო, წელს უნდა ვეცადოთ აღარ განმეორდეს ეს.

ამ გზით ჩვენ შევქმნით საქართველოში ნამდვილ წითელ ჯარს, რომელიც სხვა ძმური რესპუბლიკების საერთო არმიასთან ერთად ბრწყინვალედ შეასრულებს თავის მოვალეობას ჩვენ სოციალისტური სამშობლოს და საერთაშორისო რევოლუციის მიმართ.

ქ. გუგალია

ქრონიკა

იაპონია და საბჭოთა კავშირი

როგორც მკითხველს ეხსომება, ჩვენს კავშირსა და იაპონიას შორის სწარმოებდა შარშან მოლაპარაკება ნორმალური ურთიერთობის აღდგენის შესახებ. მაშინ ეს მოლაპარაკება უშედეგოთ გათავდა და იაპონიის მონარქიულ-რეაქციონურმა მთავრობამ სხვა გზა ირჩია. ამ უკანასკნელ ხანებში. ის დაუახლოვდა საფრანგეთს და ამ უკანასკნელის საშუალებით მასთან კავშირი გააბა რუმინიამაც. ვინაიდან სამივე სახელმწიფოს მთავრობები მტრულ განწყობილებაში იყვნენ ჩვენ კავშირთან. ცხადია სიმართლეს არ იყვნენ მოკლებული ამასწინათ გავრცელებული ხმები მას შესახებ, რომ მათ მოლაპარაკების ერთ ერთი საგანი იყო საბჭოთა კავშირიც.

დღეს როგორც მკითხველმა იცის, საფრანგეთში მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. პუანკარეს რეაქციონური მთავრობა დამარცხდა და მასვე გაჰყვა იაპონიის რეაქციონურ-მონარქიული მთავრობაც.

საპარლამენტო არჩევნებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ რამდენიმე დღის წინათ იაპონიაში, გაიმარჯვეს ოპოზიციონურმა პარტიებმა და რეაქციონერ მემამულეების მაგიერ სავაჭრო-სამრეწველო კლასების ლიბერალურმა პარტიებმა მიიღეს უმრავლესობა.

რა გავლენას იქონიებს არჩევნების ასეთი შედეგები იაპონიის საგარეო პოლიტიკაზე? ამ საკითხზე აძლევს პასუხს მოსკოვის „პრავდა"-ში ამხ. მ. მიხაილოვი.

„ყველა გარემოება—სწერს ის—პუანკარეს მაგალითს წაბაძავს იაპონიის დამარცხებული მთავრობაც. ქვეყნის მართვა-გამგებლობას ხელში აიღებს კოალიციონური კაბინეტი, შემდგარი ოპოზიციონური მემამულეებიდან (სეიუკაის პარტიის ნაწილი), სავაჭრო-სამრეწველო კლასებიდან (კენსეიკაის პარტია) და ლიბერალები (კაკუსინ კლუბ). საგარეო პოლიტიკის სფეროში მთავრობა შეეცდება პირველ ყოვლისა მოაწესრიგოს რუსეთ-იაპონიის დამოკიდებულების საკითხი. ოპოზიციონური პარტიები, რომლებიც არიან წარმომადგენლები იაპონიის სავაჭრო-სამრეწველო წრეების (ხოლო ეს წრეები ცდილობენ აღადგინონ ნორმალური კავშირი საბჭოთა ქვეყნებთან) დააჩქარებენ მოლაპარაკების დაწყებას ორ სახელმწიფოთა შორის. იაპონიის სავაჭრო პალატების მრავალი რეზოლუციები, რომელშიც მათ გამოთქვამდათ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის სასარგებლოთ, საბუთს გვაძლევს დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის მალე დამყარდება ნორმალური დამოკიდებულება".

ტელეგრამები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

რა ხდება ინგლისში

კომპარტია შედის მუშათა პარტიაში.

არჩეულია ცეკას ახალი შემადგენლობა.

რეზოლუცია მუშათა პარტიაში შესვლის შესახებ მიღებულ იქნა ერთხმად.

ინგლისის კომპარტიის ყრილობა

ყრილობის რეზოლუციები.

მანჩესტერი, 18 მაისი. ინგლისის კომპარტიის ყრილობამ საორგანიზაციო საკითხში უარყო უმცირესობის თვალსაზრისი ც. კ. წევრების რიცხვი 15 დან 20 კაცამდე გაადიდა და დაადგინა მოახდინოს პარტიის საბჭოს რეორგანიზაცია რაიონული კომიტეტების წარმომადგენლობის ნიადაგზე, პარტიულ ყრილობაზე არჩევის ნაცვლად.

რეზოლუცია მიუთითებს, რომ პარტიის ყველაზე უმნიშვნელოვანეს უჯრედებს უნდა გახდნენ ქარხნის ჯგუფები, რომელთა გარშემო უნდა გაერთიანდენ დანარჩენი ჯგუფები და რომ კომპარტიის ერთად-ერთი გზა ნამდვილ მასებისაკენ მიდის ფაბრიკა-ქარხნებით.

გერმანიის არჩევნების შესახებ.

მანჩესტერი. 18 მაისი. ყრილობის რეზოლუცია აღნიშნავს, რომ 4000000 მილიონი მუშის მიერ კომპარტიისათვის ხმის მიცემა ამტკიცებს იმას, რომ გერმანიის პროლეტარიატი კვლავ უახლოვდება ბრძოლას ძალა-უფლებისათვის პარლამენტის გარეშე.

საფრანგეთში, რამდენიმე კომუნისტი დეპუტატი, რომლებიც პირველათ შევიდნენ პარლამენტში, მოხდიან ნიღაბს ბურჟუაზიულ რესპუბლიკის საზიზღარ სახეს.

რეზოლუცია კიცხავს მეორე ინტერნაციონალის ტაქტიკას.

კომპარტია შედის მუშათა პარტიაში

მანჩესტერი, 18 მაისი. ყრილობამ მიიღო ბელლის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ მაკდონალდის მთავრობამ უღალატა მუშების ინტერესებს, მაგრამ კომპარტია განაგრძობს მუშებისათვის იმის მტკიცებას, რომ მათ თვითონ უნდა იზრუნონ თავის განთავისუფლებაზე. მუშების ხელმძღვანელობისათვის ბრძოლის მიზნით კომპარტია შედის მუშათა პარტიაში, რომ უქადაგოს მუშებს პროლეტარიატის დიქტატურა.

ერთხმად

მანჩესტერი, 18 მაისი. კომპარტიის ყრილობის რეზოლუცია მუშათა მთავრობისა და მუშათა პარტიაში შესვლის შესახებ ყრილობამ მიიღო ერთხმად, ერთის წინააღმდეგ.

ცეკას არჩევნები.

მანჩესტერი. 18 მაისი. კომპარტიის ცეკაში არჩეულნი არიან: პოლ არნოტი, გაერთიანებულ მუშათა ბიუროს მდივანი, ქემბელი—პროფინტერნის ორგანოს რედაქტორი, კრაუჩერი—რევოლუციის მებრძოლთა დამხმარე საზოგადოების და ქალთა განყოფილების თავმჯდომარე, ოთხი რაიონული ორგანიზაციები: ბრაუნი, ბრეინი, ფერგიუსონი და გოლსონი, პარტიის წარმომადგენელი კომინტერნის აღმასკომში — ხარდინგი, პარტიის გენერალური მდივანი—ინკპინი, მერფი, პოლიტი, დატი, გოლბერი, ჯექსონი, გალაჩერი, მერჯი, მილიტი, რეზუკი და მაკმანსი —სულ ყოველ ცეკას 14 წევრი და ოთხი ორგანიზატორი.

კომუნისტების მონაწილეობა არჩევნებში.

მანჩესტერი. 18 მაისი. რეზოლუციაში, რომელიც გამოიტანა ყრილობამ კომუნისტების საპარლამენტო და სათემო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ ნათქვამია, რომ არჩევნების დროს შექმნილი უნდა იქნას მუშების ერთიანი ფრონტი კაპიტალიზმის წინააღმდეგ, და არა ერთიანი ფრონტი სოციალ-დემოკრატებთან. დეპუტატი კომუნისტები ც. კ. სრული კონტროლის ქვეშ იმყოფებოდენ, საჭირო შემთხვევებში მათი სიტყვები პარტიულმა კომიტეტებმა უნდა განიხილონ წინასწარ.

ლონდონის კონფერენცია

არასწორი პასუხი.

ლონდონი. 18 მაისი. თემთა პალატაში ბევრული შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ ვინ არის ამ ჟამათ საბჭოთა მთავრობის მეთაური—აღჭურვილი უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებით, და ვინ მიანდო საბჭოთა დელეგაციას მოლაპარაკების წარმოება, მაკდონალდმა განაცხადა რომ დელეგაციას ხელთა აქვს რწმუნება მიღებული საბჭოთა კავშირის ცაკ. საბჭოს თავმჯდომარისაგან.

მეორე შეკითხვაზე, სახელდობრ, აწევიან თუ არა ინგლისში საბჭოთა დელეგატები პროპაგანდას, მაკდონალდმა უპასუხა, რომ საბჭოთა დელეგატები ჩამოსულნი არიან მეგობრული მისიის შესასრულებლად და ამიტომ მოსალოდნელია, რომ ისინი არ ჩაიდენენ ისეთ რასმე, რაც შეაფერხებს მოლაპარაკებას. სპიკერმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის იურიდიული ცნობა აძლევს ინგლისს მოეპყრას საბჭოთა მთავრობას ისევე, როგორც ყოველ სხვა უცხოეთის მთავრობას.

შემდეგ შეკითხვაზე ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ მაკდონალდმა განაცხადა, რომ იგი ვრცლად მოახსენებს პარლამენტს ამის შესახებ მაშინ, როდესაც საამისო დრო დადგება და დასძინა, რომ ინგლისი შესანიშნავ ნაყოფს გამოიღებს საბჭოთა კავშირის ცნობიდან.

კონფერენციის მუშაობის დაჩქარება.

ლონდონი. 18 მაისი. გაზეთ „ობსერვერ"-ი, აღნიშნავს რა ინგლის-საბჭოთა კონფერენციის მუშაობის დაჩქარებას, ამბობს, რომ ინგლისის მთავრობამ ენერგიულათ უნდა მოითხოვოს ვალის გადახდა ყველა მოვალეებისაგან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობას წართმეული ექნება დიპლომატიური იარაღი, რომლის საშუალებით მან უნდა მოახერხოს ევროპის განიარაღება.

გაზეთი აღნიშნავს, რომ კონფერენცია კეთილ ნაყოფს გამოიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კერძო პრეტენზიების რაოდენობა არ გასცილდება ზომიერებით ნაკარნახევ ფარგლებს და, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მთავრობათა გეგმები ორთავე მხრით იქნება დაკმაყოფილებული.

საფრანგეთის არჩევნების გამოძახილი

ოსმალეთში.

ანგორა. 18 მაისი. საფრანგეთის არჩევნების შედეგები სრულიად მოულოდნელი იყო ოსმალეთის პრესისათვის, რომელიც აქამდე მხოლოდ ოფიციალურ ცნობებით იკვებებოდა. ამჟამად პრესა ჰკიცხავს პუანკარეს მთავრობის პოლიტიკას და გამოსთქვამს იმედს, რომ მემარცხენე ბლოკის მთავრობასთან უფრო ადვილი იქნება შეთანხმების მიღწევა.

საფრანგეთში.

პარიზი 18 მაისი. კომუნისტ დეპუტატებმა მოსთხოვეს იუსტიციის მინისტრს საფრანგეთის ახალგაზრდათა კომკავშირის მდივნის, პარლამენტში ახლად არჩეულ დორიოს განთავისუფლება პატიმრობისაგან. დორიო განთავისუფლებულია.

მდგომარეობა საფრანგეთში

როგორ „ამაღლდა" ფრანკის კურსი.

პარიზი. 18 მაისი. მემარცხენე ბლოკის ორგანო „კოტიდიენ"-ი ბრალს სდებს მილიერანს, ფინანსთა მინისტრს მარსალს და საფრ. ბანკის დირექტორს რობინეს ფრანკის სტაბილიზაციისათვის გადიდებულ ფონდის ორი მესამედი წილის გაფლანგვაში, რაც ჩადენილი იყო არჩევნების დროს ფრანკის კურსის ხელოვნურად აწევის მიზნით. გაზეთი მოითხოვს გამომძიებელ კომისიის დანიშვნას და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას.

„კაპიტალ"-ის სააგენტოც არ უარყოფს ნაწილობრივ გაფლანგვის ფაქტს.

სოციალისტები შევლენ კაბინეტში

პარიზი 18 მაისი. დეპუტატი სოციალისტმა ვარენმა განაცხადა, რომ იგი ამომრჩეველთა სურვილის თანახმად, ენერგიული მომხრეა მთავრობაში სოციალისტების შესვლისა. ვარენის აზრით სოციალისტური პარტიის მომავალი პარიზის კონგრესზე მთავრობაში სოციალისტების მონაწილეობის საკითხი დადებითად იქნება გადაწყვეტილი.

გერმანიის ამბები

ფაშისტები ემზადებიან ახალი გამოსვლებისათვის.

მუშებმა მოაწყვეს კონტრ-გამოსვლა.

„როტე-ფანე" აწარმოებს კამპანიას „წითელი დღეების" მოსაწყობად.

ფაშისტები ემზადებიან.

ბერლინი 18 მაისი. ფაშისტები ამზადებენ სხვა და სხვა ადგილებში ისეთ გამოსვლებს, როგორიც მოხდა „გერმანიის დღის" ჰალეში; გამოსვლების მიზანია პროვოკაციის შექმნა მუშების წინააღმდეგ და მერყევი წვრილი ბურჟუაზიის გამხნევება. დღესასწაულები, რომლებიც დანიშნულია სხვა და სხვა ქალაქებში, ნებადართულია მთავრობის მიერ, თუ ისინი ჩატარებულ იქნება დახურულ შენობებში პრუსიის მთავრობა პასუხს აძლევს მემარჯვენე პრესის გალაშქრებაზე დღესასწაულების შეზღუდვის გამო და თავს იმართლებს მით, რომ ფაშისტური კავშირები ცდილობენ მღელვარება შექმნან სახელმწიფოში, მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანიის ეხლანდელი მდგომარეობა წააგავს რატენაუს მოკვლის წინ შექმნილ მომენტს.

ფაშისტებს მაინც განზრახული აქვთ მოაწყონ დემონსტრაციები ცასქვეშ.

„ულანის დღე" ფიურსტენვალდეში

ბერლინი. 18 მაისი. „ულანის დღე" ფიურსტენვალდეში ჩატარდა ჰალეში გამართულ „გერმანიის დღის" მსგავსად. კომპარტიის მოწოდებით 4000 დე მუშა გაემართა ფიურსტენვალდისაკენ ანტი ფაშისტური დემონსტრაციების მოსაწყობად; მუშებს შეხვდა საომრად გამზადებული პოლიცია.

პირველად მისული 1000 მუშის უკან დაბრუნება დაბა კეტჩენდორფისაკენ, ფიურსტენვალდის მახლობლად, სადაც მათ ალყა შემოარტყა პოლიციამ.

შემდეგ მისული მუშები ჩაჰკეტეს ცეცხლის მქრობელ დეპოში. შემდეგ მოსულ ათასობით მუშებს ძალით გზავნიდენ უკანვე ბერლინში. მხოლოდ ახალგაზრდობის კომკავშირის რაზმმა გაარღვია პოლიციის რკალი და გაემართა ფაშისტების თავის შესაკრებ ადგილისაკენ. შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის გაგრძელდა საღამომდე დაპატიმრებულია მრავალი მუშა.

დღესასწაულის დროს მოხდა ომის მსხვერპლთა ძეგლის გახსნა და ჯარების აღლუმი

„როტე-ფანე"-ს მოწოდება.

ბერლინი. 18 მაისი. „როტე-ფანე"-მ მიმართა ბერლინის პროლეტარიატს მოწოდებით მოაწყოს ფიურსტენვალდეში ფაშისტების საწინააღმდეგო მასიური დემონსტრაცია და ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიოს ფაშისტებს. გაზეთი მოუწოდებს რკინისგზელებს ხელი შეუშალონ მატარებლებით ფაშისტების გადაყვანას ფიურსტენვალდეში. პოლიციამ მიიღო ზომები იმისათვის, რომ მუშებს გზა გადაუჭრან ფიურსტენვალდეში შესვლის დროს.

„შავი დღეების" წინააღმდეგ „წითელი დღეები".

ბერლინი. 18 მაისი. „როტე ფანე" აწარმოებს კამპანიას „წითელი დღეების" მოსაწყობად წინააღმდეგ „გერმანიის დღეებისა", რომლებსაც მართავენ ფაშისტები. პირველი წითელი დღე უნდა მოეწყოს 8 ივნისს ლეიპციგში, სადაც ამავე დღეს უნდა გაიხსნას ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების ყრილობა.

მათთვის კანონი არ არსებობს

ბერლინი. 18 მაისი. ვიურტემბერგის მთავრობის განკარგულებით, დაპატიმრებული არიან ვიურტემბერგის ლანდტაგის კომუნისტ დეპუტატები შნეკი და შტეტე.

საყოველთაო გაფიცვისათვის.

ბერლინი. 18 მაისი. რეინ ვესტფალიის მეტალთონ მუშათა დიუსელდორფის კონფერენცია სასწრაფოთ შეუდგა საყოველთაო გაფიცვის მზადებას ნორმალურ სამუშაო დღის აღდგენის მიზნით. არჩეულია საგაფიცვო კომიტეტი.

მიაფუჩეჩეს.

ბერლინი. 18 მაისი. ჰიტლერის ამბოხებაში მონაწილე ლოსოვის, კარის და ზეისერის საქმის გამოძიება შეწყვეტილია.

კომინტერნის დახმარება.

მოსკოვი. 20 მაისი. კომინტერნის აღმასკომმა შესწირა რურის გაფიცულ მემაღაროებს 10.000 მანეთი.

რურის მემაღაროების ბრძოლა გრძელდება

ბერლინი. 20 მაისი. რურის მემაღაროებმა უარი სთქვეს ბერლინის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებაზე. მემაღაროები მზად არიან მიიღონ გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც წესდება 15 პროცენტის მომატება სამუშაო ხელფასზე, მაგრამ წინააღმდეგი არიან იმუშაონ ზედმეტ საათებში ჩვეულებრივი ხელფასით ამ რიგად გრძელდება მემაღაროების ბრძოლა რურში, საქსონიაში და ზემო სილეზიაში; მოსალოდნელია ბრძოლა დიდ ხანს გაგრძელდეს მოსალოდნელია სერიოზული მღელვარება, თუ ახლო მომავალში არ იქნა მიღებული შეთანხმება.

მრეწველობის შემცირება.

ბერლინი. 20 მაისი. გაზეთები იტყობინებიან რომ სამრეწველო ტრესტმა „დოიჩე ვერკე"-მ, რომელიც შედგენილი იყო ყოფილ სახელმწიფო ლითონის ქარხნებიდან, დაადგინა შეაჩეროს მთელ რიგ წარმოებათა მუშაობა მატერიალური დაბრკოლებების გამო.

სისხლის მღვრელი შეტაკება ფიურსტენვალდეში

ბერლინი. 20 მაისი. გუშინდელმა დემონსტრაციებმა, რომლებიც გამართეს ნაციონალისტებმა ფიურსტენვალდეში (ბერლინის მახლობლად) და ბრესლავში, გამოიწვია შეტაკებები. კომუნისტებმა ორჯერ სცადეს იმ შენობების იერიშით აღება, რომლებშიაც გამართული იყო ნაციონალისტების დღესასწაული. ფიურსტენვალდეში კომუნისტებსა და პოლიციის შორის მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებები, ხელჩართული ბრძოლა სწარმოებდა დანებით, ქვებით და ჯოხებით. პოლიციელებს სასიკვდილოდ სცემდენ. დაპატიმრებულია დაახლოვებით 100 კომუნისტი.

პარიზი. 20 მაისი. ფიურსტენვალდეში ოცი ათას ნაციონალისტმა იდღესასწაულა „ულანების დღე". პოტსდამში დღესასწაულს თავმჯდომარეობდა პრინცი ეიტელ-ფრიდრიხი. პრინცის წინ ცერემონიალური მარშით ჩაიარა 40 სამხედრო საზოგადოებამ.

ჩვენ და უცხოეთი

გერმანიის პოლიციამ გამოაქვეყნა ახალი პროვოკაციული დოკუმენტები [illegible] შესახებ.

ჰოლანდიის პრესა ცდილობს ჰოლანდიასთან მოლაპარაკების ჩაშლის პასუხისმგებლობა ჩვენს დელეგაციას მოახვიოს.

ოსმალეთის პრესა კამპანიას აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ.

იაპონია.

ლონდონი, 18 მაისი. რეიტერის სააგენტო ტოკიოდან იუწყება, რომ პეკინში გამართულ იაპონიისა და საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებას [illegible] ოფიციალურ მოლაპარაკებათ სთვლიან. სააგენტოს ცნობით, იაპონიის წარმომადგენელს რწმუნება აქვს ხელშეკრულების პროექტის გამომუშავებისათვის.

დამოკიდებულება გერმანიასთან

გერმანიის პოლიციის პროვოკაცია

ბერლინი. 18 მაისი. პოლიციის ცნობაში ნათქვამია, რომ სავაჭრო წარმომადგენლობის დაპატიმრებულ თანამშრომელს ლემანს აღმოაჩნდა „მნიშვნელოვანი" დოკუმენტები, მათ შორის ქვითარი 30 დოლარზე, რომელიც მიუღია ბოცენჰარდტს სავაჭრო წარმომადგენლობის კასიდან ლემანის დახმარებით.

ბერნშტეინის რჩევები.

ბერლინი. 18 მაისი. სოციალ-დემოკრატი ბერნშტეინი გაზ. „ფორვერტს"-ში მოუწოდებს გერმანიის მთავრობას წინააღმდეგობა გაუწიოს საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას სავაჭრო წარმომადგენლობის ექსტერიტორიალობის ცნობის შესახებ. ბერნშტეინი ბრალს სდებს საბჭოთა კავშირს ექსტერიტორიალობის უფლების ბოროტად გამოყენებაში, რის საბუთადაც მოჰყავს ინციდენტი ბოცენჰარდტთან. ბერნშტეინი ურჩევს გერმანიის მთავრობას გვერდი აუაროს მოსკოვის მუქარას და მტკიცედ დაიცვას გერმანიის უფლებები.

არ არის ხელსაყრელი

ბერლინი. 18 მაისი. უარყოფილ იქნა რეიხსტაგის კომუნისტური ფრაქციის წინადადება საბჭოთა კავშირის და გერმანიის კონფლიქტის განსახილველად გარეშე საქმეთა კომისიის დაუყონებლივ მოწვევის შესახებ.

კარის პროტესტი

ბერლინი. 18 მაისი. კარი პროტესტს აცხადებს ბავარიის პოლიციის უფროსის ზეისერის დათხოვნის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ უკანასკნელი ასრულებდა მის დირექტივებს.

ეშინიათ.

ბერლინი. 18 მაისი. სტინესის „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ"—ის მთავარი რედაქტორი—სოციალ დემოკრატი ლენში ბრალს სდებს საბჭოთა მთავრობას ინციდენტის გაზვიადებაში და სურვილს გამოსთქვამს, რომ ინციდენტი რაც შეიძლება ჩქარა იქნეს ამოწურული. ლენში შიშს გამოსთქვამს, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის ყველაფერი ჩაიდინოს უთანადო ქვეყნის მიმართ.

ლენში ეხება ინგლისის და საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებას და აღნიშნავს, რომ ამ სი უშედეგობა საერთაშორისო განვითარების მიზნით მეტად არა სასიამოვნო იქნება.

ურთიერთობა ჰოლანდიასთან

საბჭოთა კავშირს აღიარებენ.

ბერლინი, 18 მაისი. უპასუხა რა კომუნისტების შეკითხვას პარლამენტში, ჰოლანდიის გარეშე საქმეთა მინისტრმა კარნებეკმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობის შენიშვნა იმის შესახებ, რომ მეტი შეღავათი მიეცემა იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც ჰოლანდიაზე უფრო ადრე იცნეს საბჭოთა კავშირი უმნიშვნელოდ ხდის ამ შეღავათის პრინციპს ჰოლანდიისათვის ამასთან დაკავშირებით და ვალების საკითხებში წარმოშობილ დაბრკოლებების გამო მოლაპარაკების გაგრძელება უმიზნო გახდა. მოლაპარაკების ბედი, კარნებეკის აზრით გამოურკვეველია. ჰოლანდიის დელეგატები ფიქრობენ, რომ მოლაპარაკება დროებით შეწყდა, საბჭოთა დელეგატები კი, როგორც სჩანს, მას შეწყვეტილად სთვლიან.

ოსმალეთის პრესის კამპანია

[illegible]

ანგორა 18 მაისი. ანგორის და სტამბოლის პროვინციალურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს საბჭოთა კავშირის სრულ უფლებიან წარმომადგენლობასთან არსებულ პრესის ბიუროს განმარტებები საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის ურთიერთობაში წარმოშობილ გაუგებრობათა შესახებ. დეპუტატთა წრეებში ცხადდებენ, რომ ბოლოში არ ამტკიცებს ოსმალეთის მთავრობა, თითქოს ოსმალეთის ქვეშევრდომნი საბჭოთა კავშირში, თითქოს, ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან.

„ხაკიმიეთ-მილიე" მხარს უჭერს ოსმალეთის ბრალდებებს, მაგრამ აღნიშნავს იმასაც, რომ ცნობა ოსმალეთის ქვეშევრდომების გადასახლების შესახებ არ არის დამტკიცებული. სხვა გაზეთები ათავსებენ შეთხზულ ჭორებს საბჭოთა კავშირში აჯანყების შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, რომ მოსალოდნელია ომი საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის, თითქოს მობილიზაცია გამოცხადდა, გართულდა მდგომარეობა ლონდონის კონფერენციაზე და სხვა.

ტერორი პოლონეთში

აუტანელი მდგომარეობა.

ვარშავა 18 მაისი. პოლონეთიდან იუწყებიან, რომ აღმოსავლეთ გალიციის საპყრობილეებში ჯოჯოხეთური პირობებია შექმნილი პოლიტიკურ პატიმრებისთვის. ბორისლავის საპყრობილეში წევს პოლიციის მიერ დასახიჩრებული და მომაკვდავი მუშა გალიბარდი. მოკლულია მუშა ხოლევსკი, რომელსაც ჯიბეში საწამლავიანი ბოთლი ჩუდვეს იმის საჩვენებლად, თითქოს მან თავი მოიწამლა. ბორისლავის პოლიციამ მოკლა მუშა ვილენსკი, ბელოსტოკის ციხეში მჯდომ კომკავშირელთა მშობლები გაზეთ „რაბოტნიკ"-ის ფურცლებზე აცხადებენ, რომ პატიმრებს დაუზოგავად სცემენ წესის რაიმე უმნიშვნელო დარღვევისათვის.

ბელოსტოკში გაგზავნილია სეიმის კომისია საპყრობილეთა დასათვალიერებლად.

მუშათა მოძრაობა ინგლისში

რაზე რა მოლაპარაკება იყო?

ლონდონი 18 მაისი. მაკდონალდმა თემთა პალატაში ერთი შეკითხვის საპასუხოთ განაცხადა, რომ მის მთავრობას არავითარი პოლიტიკური მოლაპარაკება არ ჰქონია რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრ დუკასთან.

ელექტრონის მრეწველობის მუშათა უკმაყოფილება.

ლონდონი 18 მაისი. ელექტრონის მრეწველობის 200000 მუშა ხელფასის მომატებას მოითხოვს. პროფკავშირების წინაშე დაყენებულია საკითხი ან გაფიცვის გამოცხადების ან საარბიტრო სასამართლოს დანიშვნის შესახებ.

მუშათა პარტიის საარჩევნო კანდიდატი

ლონდონი. 18 მაისი მუშათა პარტიის გლაზგოს ორგანიზაციის მიერ გამართულ საარჩევნო მიტინგზე, სადაც წამოყენებულია კომუნისტ ფერგიუსონის საპარლამენტო კანდიდატურა, სიტყვა წარმოსთქვა კაჩინმა და ჰოლანდიელმა კომუნისტმა ფრიმენმა. უკანასკნელმა განაცხადა, რომ ევროპის მუშათა აზრით, ინგლისის მუშათა მოძრაობა უნდა გაიმარჯვებდეს, და იმედი გამოსთქვა, რომ ფერგიუსონი არჩეული იქნება.

სხვადასხვა ამბები

● **ამერიკის ელჩის გადადგომა.** ამერიკის ელჩი იაპონიაში ვუდსი გადადგა.

● **შავრაზმელების პროვოკაცია.** იაპონიისა და ჩინეთის შავრაზმელები პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ, თითქო ჩინეთში იმიტომ იზრდება მოძრაობა უცხოელების წინააღმდეგ, რომ ბოლშევიკები აგიტაციას ეწევიან ჩინელ ჯარისკაცებს შორისო.

● **მაკდონალდი პოლიციურ ზომებს მიმართავს.** მუშათა მთავრობამ დააპატიმრა დელეგატი ქალი ინგლისის კომპარტიის კონფერენციაზე. კრაიფორდის კომპარტიის ყრილობაზე შესვლას ცდილობენ პოლიციის აგენტები.

პარტიული ცხოვრება

რ. კ. პ. ყრილობისათვის

მოსკოვი. 20 მაისი. რუსეთის კომპარტიის მეცამეტე ყრილობა გაიხსნება მაისის 23.

ყრილობის პირველი დელეგატები

მოსკოვი 20 მაისი. უკვე დაიწყო დელეგატების ჩამოსვლა რუსეთის კომპარტიის მეცამეტე ყრილობისათვის. გუშინდელი დღის განმავლობაში ჩამოვიდა დაახლოვებით 450 დელეგატი ბაშკირეთიდან, ციმბირიდან, უკრაინიდან, შორეული აღმოსავლეთიდან და იაკუტიიდან.

ამკომკავშირის კომუჯრედში

8 მაისს ა/წ. შესდგა უჯრედის მორიგი სხდომა. ფიზკულტურა და ახალგაზრდობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ქიქოძემ, რომელმაც აღნიშნა, თუ როგორ უცქეროდა ან დღეს უყურებდა ბურჟუაზია ფიზკულტურას და აგრეთვე განმარტა დღევანდელი შეხედულება მასზე და მისი დიდი მნიშვნელობა. დასასრულ მოუწოდა ამხანაგებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ფიზკულტურის წრეებში.

კომკავშირის წევრების ჩაბმის შესახებ ადმასკომის სექციების მუშაობაში მოხსენებას აკეთებს ამხ. არჩ. რუხაძე; მან დაწვრილებით განმარტა სექციების მუშაობა და უფლებები, გამოსთქვა სურვილი, რათა კომკავშირის წევრებმა მიიღონ აქტიური მონაწილეობა სექციების მუშაობაში, რომლის მიზანი არის პრაქტიკულად მომზადებული საბჭოთა მუშაკების კადრის შექმნა.

სხდომამ ერთხმად სცნო სავალდებულოთ კომკავშირის წევრების ჩაწერა სხვადასხვა სექციებში—სურვილისამებრ. განთავისუფლება სექციების მუშაობიდან შეიძლება მხოლოდ იმ ამხანაგების, რომლებიც ძლიერ დატვირთულნი არიან სამუშაოთი. ამხანაგების უმრავლესობა ჩაეწერა კომუნალურ მეურნეობის და განათლების განყოფილების სექციებში.

ნ. ხაჩაპურაშვილი

ცალკე საკავშირო ასეულში

ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულში ამ თვის 16-ს შესდგა კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრნენ კომუჯრედის წევრები, უპარტიო წითელარმიელები, უფროსთა შემადგენლობა, მუშფაკელები და სხვა მოწვეული მუშები.

კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. გიორგაძე.

ამხ. მაჩიტაძემ გააკეთა მოხსენება ამ ცოტა ხანში ასეულის საზაფხულო ბანაკად გასვლის შესახებ, აღნიშნა თუ როგორი უნდა იყოს პარტკულტურული მუშაობა ახალ ბინაზე და სოფლის გლეხობაში, სადაც წითელარმიელები უნდა დაეხმარონ სოფლის ამხანაგებს როგორც კულტურულ და პარტიულ მუშაობაში, ისე აღმშენებლობაში.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ილაპარაკა ამხ. ლომიძემ, რომელმაც აღნიშნა კომპარტიების გამარჯვება იმპერიალისტურ სახელმწიფოებში პუანკარეს პოლიტიკის დამარცხება საფრანგეთში, ნ. ჟორდანიას წერილები, რომელიც მოხსენებლათ გააკრიტიკა, დაანახვა დამსწრეთ, თუ როგორ სცრუობს ქართულ მენშევიზმის ბელადი. იყო შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

ამავე სხდომაზე იყო განხილული კომუჯრედის ზოგიერთ წევრთა შეუფერებელი მოქმედება. გამოტანილია დადგენილება მათი სხვადასხვა სახით დასჯის შესახებ.

მაჩაური

ფალადიდის რაიონი

ფალადიდის რაიონი შეერთიანებს 7 უჯრედს 63 წევრით; ერთი მათგანი სატრანსპორტო უჯრედია, დანარჩენი კი სოფლის. სისტემატიურათ ხდება სხდომები და კეთდება მოხსენებები იმ თეზისების მიხედვით, რომელიც იგზავნება სამაზრო პროპკოლექტივის მიერ. აქვე იარჩევა ადგილობრივი ხასიათის კითხვები. სწარმოებს პოლიტ მეცადინეობა და სხვა. ამ ცოტა ხანში სამაზრო პარტკომის მიერ რაიონში გადაგზავნილია პოლიტ-საუბართა კრებული, რომელიც დიდათ შეუწყობს ხელს გლეხური ახალგაზრდობის პოლიტ მომზადების საქმეში.

სოფლის ყველა უჯრედის მიერ აღებული იქნა თითო ოროლა ქცევა მიწა, რომელსაც ამუშავებენ კოლექტიურად, მოსავალი მოხმარდება როგორც ქვრივ-ობლებს, ისე უჯრედების კულტურულ საჭიროებათა დაკმაყოფილებას. რაიონში პოლიტგანმანათლებელ მუშაობის უფრო გაძლიერებლათ დაარსებული იქნა რაიპროპ-კოლექტივი რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს სამაზრო პროპკოლექტივთან. სამაზრო კომიტეტი რაიონში სისტემატიურათ გზავნის ინსტრუქტორს, რომელიც რაიკომს აწვდის როგორც ჟურნალ გაზეთებს ისე ცირკულიარებს და აძლევს დირექტივებს მომავალი მუშაობისთვის და სხვა.

გ. ჯიბლაძე.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი თბილისში

(21 მაისი)

ჩერვონეცი—125 მილიარდი მან.

	ჩერვონეცით
გირვ. სტერლინგი ოფიც.	8 მ. 50 კ.
„ ჩეკებში —	7 მ. 45 კ.
დოლარი ოფიც. —	1 მ. 94 ნახევ. კ.
ჩეკებში —	1 მ. 78 ნახ კ.
თურქ. ლირა ოფ. —	90 კ.
იტალ. ლირა 100 ცალი	8 მან.
ფრანც. ფრან. 100 ცალი	9 მ.
ოქროს მანეთი	12.500 მილიონი.

[illegible] ფასები

(21 მაისი)

პური 5 ნახ. კაპ., ბრინჯი—14 კ., ძროხის ხორცი — 30 კაპ., შაქარი რაფინადი—33 კ., შაქარი ფხვნილი — 26 ნახ კ., კარტოფილი—2 კ., ვერმიშელი—13 კ., საპონი „ტიპოლი" 20 კ., ფქვილი თეთრი № 0—10 კ.

თბილისის ბაზრის ფასები

(21 მაისი)

პური 1 ხარ. — 3, პური 2 ხარ. —6 კაპ., ძროხის ხორცი—30 კაპ., შაქარი რაფინ—34 კაპ. შაქარი ფხვნილი—26—26 ნახ. კარტოფილი—3 კაპ მაკარონი—18 კაპ, ბრინჯი ადგ. 14 კაპ.

ბირჟის მიწოდება

„ნოვტრესტორგ"-ის პროდუქცია (ასანთი, კარტონი, ქაღალდი, ფანჯრის მინა და სხვ.) მზესუმზირის ზეთი, გუთნები, სანიავებელი, თევზი (ВОБЛА), „ქიმტრესტ"-ის პროდუქცია, „ცარპაიტორგ"-ის პროდუქცია, გოგირდი „შუდა", ჩაი ცეილონის და ჩინეთის, „საქშაქრტრესტ"-ის პროდუქცია, „ხლებოპროდუქტ"-ის ფქვილი, სახ. მრეწვ. საბჭოს საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფის ზეთი და სხვ.), „კრაიტორგ"-ის პროდუქცია (ცემენტი, ეტერნიტი და სხვ.), შაბიამანი, სელის ოლიფა, მადნეული მარტენის, სალეწავი მანქანები (მოწყობილობით), თივა (შეკრული) ვაგონებით, წერაქვები და ბარები, სალამასი, საშენებელი ლურსმნები, ყუბანის ფქვილი „რაზმოლ"-ი, მზესუმზირის ზეთი.

ბირჟის მოთხოვნილება

პორტლანდის ცემენტი, მზესუმზირის ზეთი, ფანჯრის მინა (ბემის), თევზი (ВОБЛА), სალამასი, ასანთი, რუს. ზაქათალის თხილი, გუთნები, სანიავებელი და სალეწავი მანქანები, ჯაგარი (ნედლი), ნარმა და მიტკალი, ნედლი ტყავეულობა, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, ქვა-მარილი ნახჩევანის.

ოფიციალური გარიგებანი

შაქარი რაფ. დახერხილი—12 მ. 25 კაპ., ნატეხი—12 მან. 15 კ. ფხვნილი—10 მან. 15 კ. ფუთი, ფრანკო „საქშაქრტრესტ"-ის საწყობი.

პორტლანდის ცემენტი—8 მან. 75 კაპ. ბოჩკაში, ფრანკო—ბათუმი ვაგონი.

ალებასტრის ქვა 55 და 60 კაპ. ფუთი, ფრანკო—სადგ. ქსანი.

ფეხსაცმელები („[illegible]")—13 მ. 50 კაპ წყვილი ფრანკო გამყიდველის საწყობი.

ბირჟის გარეშე გარიგებანი

1 მაისიდან 16 მაისამდე ბირჟის გარეშე დადებულია და გაყვანილია რეგისტრაციაში 178 გარიგება—637,552 მან ხოლო 17 მაისს—21 გარიგება—63487 მან სულ 1—17 მაისამდე—199 გარიგება—701,039 მანეთის თანხისა.

საქ. სოფლის კულტურულ ეკონომიური აღწერის სანიმუშო გეგმა

მიწა-ტყის კავშირთან არსებულ სამეცნიერო ტექნიკურ ძალების სექციასთან მოქმედებს გეოდეზიური ქვესექცია. ამ ქვესექციის წევრები არიან მიწის მზომელები, რომლებსაც სამსახურის გამო წლის განმავლობაში ექვს თვეზე მეტი უხდებათ რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის სოფლებში მუშაობა. მიწისმზომელები ამ ხნის განმავლობაში იმდენათ უახლოვდებიან სოფლის მცხოვრებთ, რომ მათ შეუძლიათ, გარდა თავისი პირდაპირი საქმისა შეისწავლონ სოფლის ცხოვრების ყოველი მხარე, რაც ძვირფას მასალას მოგვცემს ჩვენი ქვეყნის შესასწავლათ. ქვე სექციის წევრებს შორის დაიბადა აზრი სოფლის ყოველმხრივი აღწერის განხორციელებისა. ამ მიზნით ქვესექციის პრეზიდიუმმა მიწისმზომლებთან ერთად შეიმუშავა სოფლის აღსაწერათ ქვემოთ მოყვანილი კითხვები და იმედოვნებს, რომ ყველა დაინტერესდება ამ საქმით და ასე თუ ისე დახმარებას გაუწევს ამ ფრიად საგულისხმო მუშაობის შესრულებას, რითაც ხელს შეუწყობს ჩვენი სოფლის როგორც საერთო შესწავლას, ისე მიწისმოწყობის საქმეს.

აი ეს კითხვები:

1. სოფლის ტერიტორიის აღწერა.

გეოგრაფიული მდებარეობა. რელიეფი და სიმაღლე ზღვის დონიდან წყალთ-აღწერა (ჰიდროგრაფია; მდინარეები და არხები). ჰავა. მცენარეული ფლორა. ნიადაგი. მადნეულობა და მინერალური წყაროები.

2. სოფლის ისტორიული და ეთნოგრაფიული აღწერა.

სოფლის დაარსების დრო. ისტორიული გადმოცემა სოფლის დაარსების და ცხოვრების შესახებ. ძველი დროის ნაშთები (მონასტრები, ციხეები და სხვა). ეროვნება, ენა, სარწმუნოება. მოსახლეობის რიცხობრივი შემადგენლობა: მკვიდრი, მოსული და მათი ეროვნება. პროცენტული მიმართება ყოველ წოდებათა შორის.

3 ეკონომიური აღწერა.

მანძილი სოფლიდან სამაზრო ცენტრამდე, რკინის გზის უახლოეს სადგურამდე და სავაჭრო ადგილამდე. გზები (მდგომარეობა), სავაჭრო ადგილები (ЯРМАРКИ) და ბაზრები მრეწველობა (ქარხნები, ფაბრიკები, წისქვილები) შინამრეწველობა.

4. კულტურული ცხოვრება.

ზნე ჩვეულება. სკოლა, სამკითხველო, წიგნთ-საცავი. კოლექტიური კავშირები: კომუნები, ამხანაგობანი და არტელები. ბინის პირობები (სამეურნეო და საცხოვრებელი ბინების ტიპები, აბანოები და სხვა). ჰიგიენა და სანიტარია, სამკურნალო დახმარება და შინაური მკურნალები (დალაქი, ბებია ქალი და სხ.) საზოგადო და ადმინისტრატიული დაწესებულებები (კოოპერატივი, სახალხო სახლი, ფოსტა ტელეგრაფი, სარწმუნოებრივი დაწესებულებები, ეკლესიები, სამლოცველოები და სხვა) დამოკიდებულება სარწმუნოების წესებთან (ჯვრისწერა, ნათლობა და სხვა ცრუმორწმუნეობა). თქმულებები. საზოგადოებრივი თავშესაფარი.

5. მიწის საკითხი

სოფლის ტერიტორია და მისი განაწილება მიწის სხვადასხვაობის (УГОДЬЯ) მიხედვით.

მიწის სარგებლობის ხასიათი: ნაკვეთობითი, [illegible] და თემური. მიწით უზრუნველყოფა: რიცხვი უმიწაწყლო კომლთა, ერთ დესეტინამდე, 1 დან 2 მდე, 2 დან ნორმამდე და ნორმაზე ზევით მქონეთა. კომლზე და სულზე საშუალო უზრუნველყოფა მიწით საბჭოთა მიწის რეფორმამდე და შემდეგ. სათადარიგო მიწა, სახაზინო, ფონდი, კულტურულ საჩვენებელი ნაკვეთები და სახალხო მამულები.

6. სასოფლო მეურნეობა

მემინდვრეობა: ნიადაგის დამუშავება, სამუშაო იარაღები, მიწის განოყიერება, რაოდენობა ნათესებისა: მარცვლეულობის, საქონლის საკვების და სარეწავ მცენარეულობის აბსოლიუტურ ციფრებში და პროცენტებში; ნათესის მოვლა, მორწყვა, მკა, გალეწვა, მოსავლის მოხმარება და გასაღება. სამრეწველო კულტურა: მეთამბაქოეობა, მებამბეობა და სხვა. სათიბები. მებოსტნეობა: სხვადასხვა მწვანილეულობა, მოხმარება და გასაღება მევენახეობა, მეხილეობა. მოსავლიანობა სხვადასხვა კულტურის მიწისა, მუშა საქონელი. სასარგებლო საქონელი, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, სხვა დამხმარე მეურნეობა, [illegible] შენახვა, კონსერვები და შემოსავლიანობა.

ქვესექციის ბიუროს მდივანი ბ. კ.

თბილისის კომუნალური მეურნეობა 24 წლის პირველ მეოთხედში

1 წყალსადენი

წყალსადენის მოქმედება 1924 წლის პირველ მეოთხედში გამოიხატება შემდეგ ციფრებში.

თვე	მიცემ. წყლის რაოდ. ვედრობით	დარიცხული წყალი ვედრობით	დარიცხ. წყლის პროცენტი
იან.	35,701,350	25,578,064.	71,6.
თებერ.	34 751,020.	24.068 719	69,3.
მარტი	36 961,365	24 262 491	65.5.
სულ	[illegible]	[illegible]	68,8.

როგორც ცნობებიდან სჩანს, აღურიცხველი წყლის რაოდენობა წლის პირველ მეოთხედში უდრის—31,2 პროცენტს. ხოლო გასულ წლის განმავლობაში აღურიცხველ წყლის პროცენტი უდრიდა 27.

დახარჯული წყლის რაოდენობა მომხმარებლის მიხედვით.

ამ საანგარიშო პერიოდში კერძო პირებს დაუხარჯავთ მთელი დახარჯული წყლის 40,7 პროცენტი, სამხედრო უწყებას—21,8 პროც. ქალაქის დაწესებულებათ—15,4 პროც. სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათ—3,9 პროც. საბჭოთა სახლებს 9,5 პროცენტი, მთავრობის დაწესებულებათ—7,3 პროცენტი.

წყლის განმანაწილებელ ბუდკებს—1,9 პროც

ხარჯი ხელფასზე

ამ სამი თვის განმავლობაში ხელფასზე დახარჯულია 18.538 მან. და [illegible] მუშებზე 41,9 პროცენტი, ხოლო მოსამსახურეებზე—58,1 პროც.

როგორც სჩანს, უფრო მეტი ხარჯი მოსამსახურეთა ხელფასზე იმ გარემოებით აიხსნება, რომ მოსამსახურეთა ხელფასი ბევრი) მეტია მუშების ხელ

ხელფასის რყევის სურათი

მუშებისათვის

თვე	მინ. ხელფასი	მაქ
იანვარი	16 მ 63 კ.	41
თებერ.	21 „ 55 „	7
მარტი	19 „ 87 „	71

მოსამსახურეებისათვის

იანვარი	22—18	1
თებერვალი	31—58	1
მარტი	26—52	1

ამგვარად მოსამსახურეთა სის მინიმუმი მაღლა სდგას ხელფასის მინიმუმზე 25 პრო ხოლო მაქსიმუმი 60.4 პრ

წყალსადენის შემოსავალი.

წყალსადენის სალაროს შემოსავალი გამოიხატება შემდეგ ციფრებში.

	შემოსავალი	
იანვარი	42 876 მ. 41 კ.	42
თებერ	47 826 მ 87 კ.	47
მარტი	55.547 მ. 20 კ.	5
სულ	[illegible] 48 კ	14

ამგვარად 1924 წლის კვარტალში წყალსადენის ლი გასავალს 2.816 მან. 30 სჭარბობს.

პროფკავშირებში

საქართველოს პროფსაბჭოში

ჩაქვის პლანტაციის მუშა მოსამსახურეთათვის.

პროფსაბჭოს სამდივნომ დაავალა სატარიფო-ეკონომიურ განყოფილების გამგეს ამხ. ჟუჟუნს გამოარკვიოს ჩაქვის პლანტაციების დავალიანება და მოაგვაროს ხსენებული პლანტაციების მუშა-მოსამსახურეთათვის ხელფასის თავის დროზე დარიგება.

ხურდა ფული დამზადებელ კასისთვის.

პროფსაბჭოს სამდივნომ საქართველოს ფინ. კომის. რწმუნებულის წინაშე შუამდგომლობა აღძრა თბილისის დამზადებელი კასის საჭიროებისათვის გადასცეს ხურდა ფული.

სიმფონიური ორკესტრი მუშათა კლუბებში.

პროფსაბჭომ დაადგინა მოაწყოს სიმფონიური ორკესტრი მუშათა კლუბებისათვის. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას დაევალა მოლაპარაკება აწარმოოს ამ საქმით დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და ამავე დროს გამოარკვიოს, რა თანხის გაღება შეუძლია მას ხარჯების დასაფარავად.

შრომის მუზეუმი.

პროფსაბჭოს სამდივნომ დაამტკიცა დებულება შრომის მუზეუმის შესახებ. მუზეუმის საბჭო ხუთი კაცისაგან შესდგება, საბჭოში შედიან პროფსაბჭოს ორი წარმომადგენელი, ორი სახკომ. შრომის სახ. კომის. წარმომადგენელი და ერთიც მუზეუმის გამგე.

კულტმუშაობის გასაძლიერებლად.

პროფსაბჭომ მთამადნის მუშაკთა კავშირს წინადადება მისცა შეიტანოს ჭიათურის სამაზრო პროფბიუროს 10 პროცენტი ანარიცხი მუშათა შორის კულტურულ გასაძლიერებლად

ქუჩის ბავშვების დასახმარებლად.

პროფსაბჭომ ჭიათურის პროფბიუროს დაავალა დაინტერესებულ ორგანოთა წარმომადგენელთან ერთად დაარსოს ქუჩის დამხმარე საზოგადოება.

პროფსაბჭოსთან არსებულ ტექ. ძალთა ბიურო

ბიუროს მიერ მიღებული ლური ცნობით, ინჟინერთა ლიად საკავშირო ყრილობა ბა ა./წ. შემოდგომაზე.

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში.

ტრანსპორტზე მომუშავეთა პროფკავშირის მე 6 ყრილობაზე ნილი იქნა ამხ. სეროფიანი.

ურთიერთ დამხმარე კასები კომიტეტთან.

ტრანსპ. მომუშ კავშირის გამგეობის კრებაზე მოისმინეს საორგანიზაციო განყოფილების სენება ცალკე ურთიერთ სების მოწყობის შესახებ მებთან.

დადგენილ იქნა მოეწყოს კასები მრავალ წევრიან ადგილ თან. გადაწყდა შუამდგომლობ ძრას პროფსაბჭოს წინაშე გილკომებთან კასების მოწყობ სახებ, რომლებიც 100 წევრამდ თიანებენ.

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირში.

გაფართოებული მუშაობა ადგილზე

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის გაფართოებულ პლენუმზე იქნა მოხსენებები ადგილობრივ ხსენებებმა გამოარკვიეს, რომ ცენტრალური ორგანიზაცი

ლენინიზმის საფუძვლების შესახებ *)

(ამხ. სტალინის ლექცია სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტში)

IV

პროლეტარიატის დიქტატურა

ამ თემიდან მე ვიღებ სამ მთავარ საკითხს: ა) პროლეტარიატის დიქტატურა როგორც პროლეტარული რევოლიუციის იარაღი, ბ) პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც პროლეტარიატის ბატონობა ბურჟუაზიაზე, გ) საბჭოთა ხელისუფლება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა.

1. პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც პროლეტარული რევოლიუციის იარაღი.

საკითხი პროლეტარული რევოლიუციის შესახებ არის პირველყოვლისა საკითხი პროლეტარული რევოლიუციის მთავარი შინაარსის შესახებ. პროლეტარული რევოლიუცია, მისი მოძრაობა, მისი გაქანება, მისი მიღწევები სისხლ-ხორცს ისხამენ პროლეტარიატის დიქტატურის საშვალებით. პროლეტარიატის დიქტატურა არის პროლეტარული რევოლიუციის იარაღი, მისი ორგანო, მისი უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტი, რომლის დანიშნულებას შეადგენს: პირველი—დამხობილ ექსპლოატატორების, და მყვლეფელების წინააღმდეგობის დათრგუნა და თავისი მიღწევების განმტკიცება, მეორე—პროლეტარული რევოლიუციის მიყვანა ბოლომდი, რევოლიუციის მიყვანა სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდი. ბურჟუაზიის დამარცხება, მისი ძალაუფლების დამხობა რევოლიუციას შეუძლია პროლეტარიატის დიქტატურის გარეშეც. მაგრამ ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დათრგუნა, გამარჯვების დაცვა და წინსვლა გაგრძელება სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებამდი რევოლიუციას არ შეუძლია, თუ ის განვითარების შესაფერ საფეხურზე არ შექმნის სპეციალურ ორგანოს, პროლეტარიატის დიქტატურის სახით, რომელიც მისი მთავარი დასაყრდენი შეიქნება.

„რევოლიუციის მთავარი საკითხს წარმოადგენს საკითხი ძალაუფლების შესახებ" (ლენინი) ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საქმე აქ თავდება ძალაუფლების აღებით, მისი ხელში ჩაგდებით? არა, არ ნიშნავს. ძალაუფლების ხელში აღება—ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია. ბურჟუაზია, რომელიც დაამხეს ერთი რომელიმე ქვეყანაში, მრავალი მიზეზების გამო, დიდი ხნის განმავლობაში უფრო ძლიერია, ვიდრე პროლეტარიატი, რომელმაც ის დაამხო. ამიტომ მთელი საქმე მდგომარეობს იმაში, რომ შენარჩუნებული იქნეს ძალაუფლება, გამაგრებული იქნეს ძალაუფლება, გახდეს ის დაუმარცხებელი. რა არის საჭირო იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს ეს მიზანი? ამისათვის საჭიროა ყოველ შემთხვევაში იმ სამი ამოცანის შესრულება, რომლებიც ისმებიან პროლეტარიატის დიქტატურის წინაშე გამარჯვების „მეორე დღეს".

ა) უნდა დათრგუნოს რევოლიუციის მიერ დამხობილ და ქონებაჩამორთმეულ მემამულეების და კაპიტალისტების წინააღმდეგობა, უნდა მოისპოს კაპიტალის ძალაუფლების აღდგენის ყოველგვარი ცდები;

ბ) მოეწყოს მშენებლობა ისეთი ხასიათის, რომ ყველა მშრომელმა თავი მოიყარონ პროლეტარიატის გარშემო: ეს მუშაობა მიმართული უნდა იქნას იქითკენ, რომ მომზადდეს კლასების ლიკვიდაცია, მოსპობა;

გ) შეიარაღებული იქნეს რევოლიუცია, მოეწყოს რევოლიუციის არმია გარეშე მტრებთან საბრძოლათ, იმპერიალიზმთან საბრძოლველად.

პროლეტარიატის დიქტატურა საჭიროა იმისათვის, რომ გატარებული იქნეს, შესრულებული იქნეს ეს ამოცანები.

„კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა,—ამბობს ლენინი,—არის მთელი ისტორიული ეპოქა. სანამ ის არ დასრულებულა, მყვლეფელებს გარდაუვლად რჩება რესტავრაციის იმედი, ეს იმედი კი იქცევა ძველის აღდგენის ცდებათ. და პირველი სერიოზული დამარცხების შემდეგ დამხობილი მყვლეფელები, რომლებიც არ მოელოდნენ დამხობას, არ სჯეროდათ ეს, ამაზე ფიქრიც კი წარმოუდგენლათ მიაჩნდათ, გაათკეცებული ენერგიით, გაცოფებული, გაასკეცებული სიძულვილით, იწყებენ ბრძოლას წართმეული „სამოთხის" დასაბრუნებლად თავიანთ ოჯახებისათვის, რომლებიც ასე ტკბილად ცხოვრობდნენ და რომლებსაც ახლა „ქუჩის მაწანწალები" უმზადებენ გაღატაკებას და სიღარიბეს (ანდა „უბრალო" შრომას)... მყვლეფელ კაპიტალისტებს კი მიჰყვებიან წვრილი ბურჟუაზიის ფართო მასები, რომელთა შესახებ ყველა ქვეყნებში ათეული წლების ისტორიული გამოცდილება ამტკიცებს, რომ ისინი მერყეობენ, დღეს მიჰყვებიან პროლეტარიატს, ხვალ მათ აშინებს გადატრიალების სიძნელე, პანიკას ეძლევიან მუშების პირველი დამარცხების ან ნახევრათ დამარცხებისთანავე, ნერვიულობენ, ხან აქეთ ეცემიან, ხან იქით, წუწუნებენ, ხან ერთ ბანაკში გარბიან, ხან მეორეში". („პროლეტარული რევოლიუცია").

ბურჟუაზიას კი აქვს საფუძვლები ძველის აღდგენის ცდებისათვის, ვინაიდან ის დამხობის შემდეგ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში უფრო ძლიერია, ვიდრე პროლეტარიატი, რომელმაც ის დაამხო.

„თუ მყვლეფელები დამარცხებული არიან მხოლოდ ერთ ქვეყანაში,—ამბობს ლენინი,—ეს კი, რასაკვირველია, ტიპიური შემთხვევაა, ერთ დროული რევოლიუცია მთელ რიგ ქვეყნებში იშვიათი გამონაკლისია, შემდეგ,—ისინი მაინც გაცილებით უფრო ძლიერი რჩებიან" („პროლეტარული რევოლიუცია").

რაშია დამხობილი ბურჟუაზიის ძალა? პირველყოვლისა, „საერთაშორისო კაპიტალის ძლიერებაში და ბურჟუაზიის საერთაშორისო კავშირის სიმტკიცეში" („საბავშვო სენი").

მეორე, იმაში, რომ „მყვლეფელები დიდი ხნის განმავლობაში გადატრიალების შემდეგ აუცილებლად ინარჩუნებენ მთელ რიგ უდიდეს ფაქტიურ უპირატესობებს: მათ რჩებათ ფულები (ფულების მოსპობა ერთბაშად არ შეიძლება), მათ რჩება ზოგიერთი მოძრავი ქონება, ზოგჯერ საკმაოთ დიდი, რჩება კავშირი, ორგანიზაციის და მმართველობის გამოცდილება, მმართველობის ყველა „საიდუმლოებათა" (ჩვეულებების, ხერხის, საშვალებათ, შესაძლებლობათა) ცოდნა, რჩება უფრო მაღალი განათლება, ახლო კავშირი ტექნიკურად უმაღლეს (ბურჟუაზიულად მცხოვრებ და მოაზროვნე) პერსონალთან, რჩება განუზომლად მეტი გამოცდილება სამხედრო საქმეში (ეს ძლიერ მნიშვნელოვანია) და სხვ. და სხვ." („პროლ. რევოლ.").

მესამე „ჩვეულების ძალაში, წვრილი წარმოების ძალაში, ვინაიდან წვრილი წარმოება, სამწუხაროთ, მსოფლიოში, ჯერ კიდევ დიდი და დიდი რაოდენობით არის დარჩენილი, წვრილი წარმოება კი განუწყვეტლად ყოველ დღე, ყოველ საათში შობს კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას სტიქიურად და მასიური მასშტაბით"... ვინაიდან „კლასების მოსპობა ნიშნავს—არა მარტო კაპიტალისტების და მემამულეების განდევნას,—ეს ჩვენ შედარებით ადვილათ მოვახერხეთ,—ეს ნიშნავს აგრეთვე წვრილ საქონლის მწარმოებლების მოსპობას, მათი მოსპობა, მათი განდევნა, მათი დათრგუნვა არ შეიძლება, მათ უნდა შევეგუოთ, მათი გარდაქმნა შეიძლება (და უნდა მოხდეს) მხოლოდ ძლიერ ხანგრძლივ, ნელი, ფრთხილი საორგანიზაციო მუშაობით („საბავშვო სენი").

აი რატომ ამბობს ლენინი, რომ: „პროლეტარიატის დიქტატურა არის ახალი კლასის ყველაზე უფრო მედგარი და ყველაზე უფრო ულმობელი ბრძოლა უფრო ძლიერი მტრის წინააღმდეგ, ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომლის წინააღმდეგობა გაათკეცებულია მისივე დამხობით", რომ „... პროლეტარიატის დიქტატურა არის ენერგიული, სისხლიანი და უსისხლო, იძულებითი ხასიათის და მშვიდობიანი, პედაგოგიური და ორგანიზატორული ბრძოლა ძველი საზოგადოების ძალებისა და ტრადიციების წინააღმდეგ" („საბავშვო სენი").

არ საჭიროებს მტკიცებას იმას, რომ ამ ამოცანების შესრულება მოკლე ხანში, მათი გატარება მოკლე ხანში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამიტომ პროლეტარიატის დიქტატურა, კაპიტალიზმიდან გადასვლა კომუნიზმში, შეფასებული უნდა იქნას არა როგორც უმნიშვნელო პერიოდი „ულტრარევოლიუციონერული" აქტებისა და დეკრეტების სახით, არამედ როგორც მთელი ისტორიული ეპოქა, სავსე სამოქალაქო ომებით და საგარეო შეტაკებებით, ენერგიული საორგანიზაციო მუშაობით, წინსვლით და უკან დახევით, დამარცხებებით და გამარჯვებებით ეს ისტორიული ეპოქა საჭიროა არა მარტო იმისათვის, რომ შეიქმნეს საეკონომიო და კულტურული წინასწარი პირობები სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის, არამედ იმისათვისაც, რომ პროლეტარიატს მიეცეს შესაძლებლობა პირველყოვლისა აღზარდოს და გამოწვრთნის თავისი თავი, როგორც ძალა, რომელსაც შეუძლია მართოს ქვეყანა, მეორე—აღზარდოს და გარდაქმნას წვრილ-ბურჟუაზიული მასები იმ მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს სოციალისტური წარმოების ორგანიზაციას

„თქვენ,—ეუბნებოდა მარქსი მუშებს,—უნდა გადაიტანოთ 15, 20, 50 წლიწადი სამოქალაქო და საერთაშორისო ომების არა მარტო იმისათვის, რომ შეცვალოთ ურთიერთობა, არამედ იმისათვისაც, რომ გამოსცვალოთ თავისი თავი და შეიძინოთ პოლიტიკური ბატონობის უნარი (მარქსი და ენგელსი, თხზ. კრებული, ტომი III).

ლენინმა განაგრძო და განავითარა მარქსისა და ენგელსის აზრი ის სწერდა:

„პროლეტარიატის დიქტატურის დროს საჭირო შეიქნება მილიონ გლეხების და წვრილი მეპატრონეების, ასეულ ათას მოსამსახურეების, მოხელეების, ბურჟუაზიული ინტელიგენტების ხელახალი აღზრდა, მათი დამორჩილება პროლეტარული სახელმწიფოსათვის და პროლეტარული ხელმძღვანელობისათვის, მათში ბურჟუაზიული ჩვეულებების და ტრადიციების დაძლევა, ისე როგორც საჭირო იქნება.. ხანგრძლივ ბრძოლაში პროლეტარიატის დიქტატურის ნიადაგზე თვით პროლეტარების აღზრდა, რომლებიც საკუთარ წვრილბურჟუაზიულ ცრუმორწმუნეობებისაგან ვერ განთავისუფლდებიან ერთბაშად, რადგაც სასწაულის გამო, „ღვთის მშობლის" ლოცვა-კურთხევით, არა ლოზუნგის, რეზოლიუციის, დეკრეტის კარნახით, არამედ მხოლოდ ხანგრძლივი და ძნელი მასიური ბრძოლით მასიურ წვრილ ბურჟუაზიული გავლენის წინააღმდეგ („საბავშვო სენი")

2 პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც პროლეტარიატის ბატონობა ბურჟუაზიაზე.

უკვე ზემო ნათქვამიდან აშკარაა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არ არის მარტო სხვადასხვა პირების უბრალო შეცვლა მთავრობაში, „კაბინეტის" შეცვლა და სხვა, ძველი ეკონომიური და პოლიტიკური წესწყობილების უცვლელად დატოვებით. ყველა ქვეყნების მენშევიკები და ოპორტუნისტები, რომლებსაც დიქტატურის ეშინიათ, როგორც ცეცხლის, და რომლებიც შიშისაგან დიქტატურის და „ძალაუფლების დაპყრობის" ცნებებს ურთიერთში ურევენ, ჩვეულებრივ „ძალაუფლების დაპყრობა" ესმით, როგორც „კაბინეტის" შეცვლა, ეს შეცვლა კი უნდა გამოიხატოს იმაში, რომ ახალ სამინისტროს სათავეში უნდა ჩაუდგენ ისეთი პირები, როგორც არიან შეიდემანი და ნოსკე, მაკდონალდი და გენდერსონი. არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ კაბინეტების ასეთ შეცვლას არავითარი კავშირი არ აქვს პროლეტარიატის დიქტატურასთან, ნამდვილი ძალაუფლების დაპყრობასთან ნამდვილი პროლეტარიატის მიერ. მაკდონალდების და შეიდემანების მთავრობა ძველი ბურჟუაზიული წესწყობილების უცვლელად დატოვების დროს მხოლოდ დამხმარე იარაღია ბურჟუაზიის ხელში; ამას გარდა ის ხელს აფარებს იმპერიალიზმის მანკიერ მხარეებს, ის იარაღია ბურჟუაზიის ხელში დაჩაგრულ და გაძარცულ მასების რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ. ისინი, ეს მთავრობები, საჭიროა კაპიტალისტებისთვის, როგორც შირმა იმ დროს, როდესაც მისთვის უხერხულია, არახელსაყრელი და ძნელია მასების დაჩაგვრა და ექსპლოატაცია უშირმოთ. რასაკვირველია, ასეთი მთავრობების სამოქმედო ასპარეზზე გამოჩენა იმის ნიშანია, რომ „იქ" (ე. ი. კაპიტალისტების სამყაროში) „შიპკაზე" ყველაფერი რიგზე არ არის, მაგრამ ასეთი მთავრობა, მიუხედავათ ამისა, უცვლელად რჩება კაპიტალის შეფერადებულ მთავრობად. მაკდონალდის ან და შეიდემანის მთავრობიდან პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობამდი ისეთივე დიდი მანძილია, როგორც მიწიდან ზეცამდი.

პროლეტარიატის დიქტატურა არის არა მთავრობის შეცვლა, არამედ ახალი სახელმწიფო, ხელისუფლების ახალი ორგანოებით ცენტრში და ადგილებზე პროლეტარიატის სახელმწიფო, რომელიც აღმოცენდა ძველი სახელმწიფოს, ბურჟუაზიის სახელმწიფოს ნანგრევებზე.

პროლეტარიატის დიქტატურა იბადება არა ბურჟუაზიული წესწყობილების საფუძველზე, არამედ მისი ნგრევის პროცესში, ბურჟუაზიის დამხობის შემდეგ, მემამულეების და კაპიტალისტების ექსპროპრიაციის პროცესში, წარმოების ძირითად იარაღების და საშუალებების დიზაციის პროცესში, პროლე ტის ძალებით რევოლიუციის ლობის დროს პროლეტარიატის ტატურა არის რევოლიუციური ხელისუფლება, რომელიც ძალდატანებას ბურჟუაზიაზე.

სახელმწიფო მანქანა გაბატონებული კლასის ხელში თავისი სიური მტრების წინააღმდეგ სამუშავოთ. ამ მხრივ პროლეტარიატის დიქტატურა არსებითად რით არ განსხვავდება სხვა რო მე კლასის დიქტატურისაგან, გან პროლეტარული სახელ მანქანაა ბურჟუაზიის დასათრ მაგრამ აქ არის ერთი არსებითი სხვავება. ეს განსხვავება მდგომ ობს იმაში, რომ აქამდის არს ყველა კლასიური სახელმწიფ წარმოადგენდნენ დიქტატურას ფლიდ უმცირესობისას, რო ყველგან უმრავლესობას, პრო რიატის დიქტატურა კი არის ტატურა გაყვლეფილი უმრავ ბისა მყვლეფელ უმცირესობაზე.

მოკლედ პროლეტარიატის ტატურა არის პროლეტარიატის ტონობა ბურჟუაზიაზე, ამით ეს ბატონობა არ არის განსაზ ლი კანონით და ას ლადიხას, პროლეტარიატის ტურა ხორციელდება მშრომელ მხარდაჭერით ზე და დამყარებული ზით და დამოკიდებული („სახელმწ და რევოლიუცია").

აქედან გამომდინარეობს ორი რითადი დასკვნა.

პირველი დასკვნა. პროლეტ ტის დიქტატურა ვერ იქნება „ ლი" დემოკრატია, დემოკრატია ყველასათვის, მდიდრებისთვისაც ღარიბებისთვისაც,—პროლეტარი დიქტატურა „უნდა იყოს დემოკ ული სახელმწიფო ახალი გვარ პროლეტარიატისა და ღარიბები ის უნდა იყოს ახალი დიქტატ ლი სახელმწიფო,—ბურჟუაზიის ნააღმდეგ" („სახელმწ ფო და ვოლიუცია"). კაუცკის და კომპ. ლაპარაკი საერთო თანასწორო „წმინდა" დემოკრატიაზე,

---

*) იხ. კომუნისტი №№ 101, 102, 104, 105.

მიან მუშაობას აწარმოებენ. პლენუმმა გამოიტანა მნიშვნელოვანი დადგენილებანი.

მკერავთა შორის.

დახმარება უმუშევრებს.

მკერავთა კავშირის ცენტ. გამგეობამ გადასწყვიტა 1 მაისიდან გაუორკეცოს უმუშევრებს დახმარება.

მკერავები—წითელი ჯვარის წევრები.

მკერავთა კავშირმა დაადგინა ფართე კამპანია აწარმოოს თავის წევრების წითელი ჯვარის საზოგადოებაში ჩასარიცხად

მ. მეურ. მუშაკთა შორის.

ბავშვთა სახლების კერძოდ.

კავშირმა ბავშვთა სახლების კომისიას ნება დართო მოაწყოს აბანოში კერძოული ბავშვთა სახლების სასარგებლოდ.

ბრძოლა ბაზარზე ფასების დასაწევად.

კავშირმა დაადგინა სთხოვოს პროფსაბჭოს, რათა გამოყოფილ იქნეს კომისია მუშებისაგან ყველა იმ დაწესებულებათა გასაკონტროლებლად, რომელიც აწესრიგებს ფასებს ბაზარზე.

საბჭოთა სასამართლოში

მაჭანკლის გასამართლება

ტფ. საქ. ოლქის სასამართლომ გაარჩია ქ. ტფილისში (ბუტყების შესახვევი № 14) მცხოვრებ ზარბაბლი თეგის ასულის ავთანდილოვის საქმე, რომელსაც ბრალად ედება სისტემატიური გარყვნილების შეტანა საკუთარ ოჯახში და მაჭანკლობა თავის 17—18 წლოვან ქალის მარიამის მიმართ.

ხსენებულ ქვრივ ქალს ავთანდილოვისას ჰყავს უმუშევარი ქალ ვაჟი. თვითონ ზარბაბლი ძლივს ირჩენდა თავს კერვით და რეცხვით

სილარიბემ აიძულა იგი ხელი მოეკიდა ცუდი ხელობისათვის. მას სახლში მოჰყავდა მამაკაცები თავის ქალიშვილთან შესახვედრათ ან აიძულებდა ქალს წასულიყო მამაკაცების სანახავად, რის შემდეგ მათ ბინაზე გაიმართებოდა ხოლმე ქეიფი და სხვ. ამგვარმა საქციელმა სისტემატიური ხასიათი მიიღო და ამ ოჯახის შემოსავლის მთავარ წყაროთ გადაიქცა. ამაურობით და ხშირი ჩხუბით, რომელიც ხდებოდა ავთანდილოვიანთ სტუმრებს შორის, ძლიერ შევიწროვებული იყვნენ იმავე სახლის მდგმურნი, რომლებმაც დაბოლოს საჩივარი შეიტანეს მე 7 ე სამილიციო კომისარიატში. მილიციამ საქმე სასამართლოს გადასცა.

სასამართლომ ლ. ნასარიძის თავმჯდომარეობით და მოსამართლე ა. ენუქიძის და ვ. ზუკაკიშვილის შემადგენლობით ბრალდებულ ქალის დანაშაული დამტკიცებულად სცნო და მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა, რომელმაც გამოიწვია მისი ზემოხსენებული მოქმედება, და აგრეთვე ის გარემოება, რომ ბრალდებული წინეთ ნორმალურ ნივთიერ პირობებში,—ასეთ ყოფაქცევაში შემჩნეული არ იყო, და ვინაიდან ავთანდილოვის ოჯახის ერთად ერთ მარჩენალის დაპატიმრება უფრო გააძლიერებდა მისი ოჯახის ზნეობრივ გახრწნას, სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა შესცვალა პირობითი სასჯელით 8 წლის ვადით, ხოლო ბრალდებულის გამოსაცდელ ვადათ დანიშნა 5 წელიწადი.

ქრონიკა

■ **დიდი სეტყვა ქართლში.** ჩვენ გვატყობინებენ, რომ 19 აპრილს სეტყვამ გაანადგურა მოსავალი ქართლის შემდეგ სოფლებში: მეტეხში, ნიაბში, ქვემო გომში, ვაკისხევში, კასპში და ქვემო ხანდაკში. სეტყვა ყოფილა კვერცხისოდენა.

■ **სასჯელის პატიება ამხ. ცირამისათვის.** სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა დაადგინა ამხ. ცირამს, რევოლიუციის წინაშე დიდი ღვაწლისათვის, ეპატიოს სასჯელი პირობით.

■ **დასავლეთ საქ. სამოქ. სასამართლოს წევრნი.** სრ. საქ. ცენტრ. აღ. კომიტეტის დადგენილებით ამხ. ფურცხილავა და ჩიქორიშვილი განთავისუფლებულნი იქნენ დასავლეთ საქარ. სამოქ. სასამართლოს წევრობიდან.

■ **პოლიტმმართველობის მოქმედება.** მთავარი პოლიტმმართველობამ აპრილის თვეში დაათვალიერა ყველა თავის ქვემდებარე დაწესებულებები მთელ რესპუბლიკაში.

■ **წვრილი ფული.** ა/კ ფინანსთა კომისარიატმა მოსკოვიდან მიიღო წვრილი ფული ვერცხლისა და [illegible].

■ **სადავო საზღვრების გამოსარკვევად.** ზანგეზურის და ქურთისტანის შორის საზღვრების გამოსარკვევად ა/კ ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი მაისის ბოლოს გზავნის განსაკუთრებულ კომისიას.

■ **გლეხების ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასახლება.** ა/კ ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა დაადგინა, ახალციხიდან გლეხ ლუხუმბერის სოფლებში გადასახლების საკითხი გადასცეს საქ. სახ. კომისართა საბჭოს.

■ **ამინდი კახეთში.** როგორც კახეთიდან იტყობინებიან სიღნაღის და თელავის მაზრებში გვალვა გრძელდება.

— **გლეხკომის კვირეული.** გურჯაანის გლეხკომმა ჩაატარა კვირეული, რომლის განმავლობაში გლეხკომმა შეაკეთა 20 ვერსზე შარაგზა, შეაკეთა არხი და სხ.

■ **ბამბის მოსავალი.** წარმოკავშირმა წელს კახეთში დათესა 500 დესეტინაზე ბამბა, რომელიც [illegible] გვალვების გამო შესაძლებელია ძლიერ დაზარალდეს.

■ **ჯუთები მეთამბაქოებს.** წარმოკავშირმა კახეთის მეთამბაქოეთ უფასოდ გაუგზავნა „საკის“ ჯუთები.

■ **აღმოსავლეთ საქ. სასამართლოში.** სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს წევრად დანიშნა ამხ. გელდიევი.

■ **მაგალითი.** მარტყოფის (გარე კახეთი) გლეხკომმა ადგილობრივ გლეხებისათვის გამოიწერა წიგნები სასოფლო მეურნეობის შესახებ.

■ **მუშათა დასასახლებელი სახლები.** სრ. საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა მცხეთაში მუშათა დასასახლებელი სახლების მოსაწყობად, განსაზღვრულად გამოაცხადა ლევანიძევის, შარტავას, მიქაძე კრასინოვლადლოვის, ჭეჭენიძის, მაჩხანელის, რაზუმოვსკის და ყოფილ მონასტრის და გრამოლიტანის სახლები.

■ **დახმარება უმუშევრებს.** 26 მაისიდან გაიცემა დახმარება (მაისისთვის) მზრუნველთა, ტრანსპორტთა, მელითონეთა, ალმშენებლობის, მიწისტყის და ფოტოგრაფის სექციების უმუშევარ წევრებზე.

■ **სამუშაო კონტროლი.** ქ. აღმასკომმა სამუშაო კონტროლის შეთანხმების შესამუშავებლად გამოყო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ლ. ხუციშვილი (ხამმდი) სერგეევი, ჩინასიანი და გაგაშვილი.

■ **ვაჭრობის წესრიგი მუშკოოპის მაღაზიებში.** ქ. აღმასკომმა, მოსთან მუშათა კოოპერატივის გამგეობის შუამდგომლობის თანახმად დაადგინა,—მუშკოოპის მაღაზიებში ვაჭრობამ იწარმოოს დილის 7—12 საათამდე, და ნაშუადღევს 2—5 საათამდე.

■ **დახმარება.** ქ. აღმასკომმა დახმარების სახით სამხედრო საგარნიზონო კლუბს ყოველთვიურათ დაუნიშნა 300 მან.

■ **ზაჰესის საქმეებზე.** ქ. აღმასკომმა გადასწყვიტა ზაჰესკომის საქმეებზე მოსკოვში მიავლინოს ამხ. იორამაშვილი.

■ **კომუნალური გადასახადი ვაჭრებზე.** ვაჭრებზე კომუნალური გადასახადის გამოსაწერებლად გამოყოფილ იქნა კომისია ამხ. ამხ. რუხაძის, ასრიევის და ლოლაძის შემადგენლობით.

■ **შეღავათები ავადმყოფობის გამო.** მუშა მოსამსახურეებმა ავადმყოფობის გამო შეღავათებისათვის უქიმოთ სიკონტროლო კომისიაში უნდა წარმოადგინონ ადგილკომის და რაიონულ ექიმის მოწმობები.

— **შრომის ბირჟა.** 19 მაისს შრ. ბირჟაში გამოცხადდა—170 უმუშ. ახლად ჩაეწერა—99, მოთხოვნილება იყო—60. სამუშაოზე გაიგზავნა—85.

შემთხვევები

■ **შეპყრობა.** 17 მაისს შეიპყრეს დათაკოვი, რომელსაც ბრალდება სასტუმრო „ნოეთან“ ნივთების მოპარვა.

■ **[illegible].** 14 მაისს, კალინინის ქ. № 19, მოქ. სტრელოვსკაიამ მიიღო უსახელო წერილი, რომლითაც აღნიშნულ პირს წინადადებას აძლევდნენ 15 მაისს იმავე სახლის ეზოში [illegible] კონვერტით 6 ჩერვონეცი [illegible]. სტრელოვსკაიამ [illegible] გამო [illegible], მეორე დღეს მიიღო განმეორებით მუქარის წერილი, რასაც სტრელოვსკაიამ აცნობა სისხლის სამართლის მილიციას. აგენტებმა აღნიშნულ ადგილზე თავიანთი კონვერტი დადეს, მაგრამ მას არავინ გამოცხადდა; 17 მაისს აგენტებმა მოახდინეს მდგმურების დაკითხვა, რის დროსაც შეიპყრეს სტუდენტი ბორისოვ ქანთარია რომელსაც დაუმტკიცდა არაპირდაპირი მონაწილეობა და [illegible].

■ **თვითმკვლელობა.** 15 მაისს, რუსთაველის ქ. № 31, მოქ. გ. ჩირიკოვმა მოიწამლა თავი, რადგანაც გამოირკვა ჩირიკოვს თავის საცოლესთან მოუპარია ძვირფასი ნივთები და გასასყიდათ გადაეცა ვინმე ჩირაქაშვილისათვის, რომელიც იმავე დღეს შეიპყრეს ნივთებით. ჩირიკოვს ეგონა რომ მასაც შეიპყრობენ, დალევია საწამლავი. ჩირიკოვი სასწრაფოდ გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში,

ხელოვნება

■ **სომეხ ხელოვანთა სახლი.** ქალაქის აღმასკომმა განათავისუფლა სამხარეო გადასახადისაგან სომეხ ხელოვანთა სახლში „არტისტში“ 19 მაისს გამართული კონცერტი.

■ **კამოს ცხოვრება ეკრანზე.** სახკინმრეწველობა შეუდგა კამოს ცხოვრების კინო ლენტზე გადაღებას.

■ **პროლეტკულტის სალამო.** დღეს წითელ თეატრში (ხალხ. სახლი) გაიმართება პროლეტკულტის სალამო რევოლიუციონური პროგრამით.

■ **ბაქოს მუშათა თეატრი.** ბაქოს მუშათა თეატრის წარმოდგენები რუსთაველის თეატრში გაგრძელდება ამ თვის დამლევამდე.

■ **შექსპირი ქართულად.** ამ დღეებში სახელგამი შეუდგება შექსპირის ტრაგედიების ბეჭდვას ივ. მაჩაბლის თარგმანით. თარგმანი გამოვა ორ დიდ ტომად.

■ **ლეო ქიაჩელის მოთხრობათა წიგნი.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა ლეო ქიაჩელის მოთხრობათა წიგნი. წიგნი დაახლოებით იქნება 100 გვ. და დაბეჭდილი კარგ ქაღალდზე.

პროვინციაში

გეჯეთის თემი (სენაკის მაზრა)

გეჯეთის თემში 1917 წლიდან არსებობდა ორი კოოპერატივი. სხვა და სხვა მიზეზების გამო არ იქნა მათი სათანადო სიმაღლეზე დაყენება და ბოლო დროს ერთი მათგანი სულ მიიკეტა და მეორეც დაკეტვის კარებამდე იყო მისული.

ამ უკანასკნელ ხანებში სენაკიდან ჩამოვიდა სენაკის სამაზრო „ეპოს“ თავმჯდომარე ამხ. ლ. გაგუა და გლეხები გააცნო კოოპერატივების ახალ სისტემას. გლეხებმაც გამოიტანეს დადგენილება, რომ გაერთიანდნენ დუქნები. აგრეთვე დაადგინეს შეიტანონ საწევრო ორი ფუთი სიმინდი.

დღეს ორივე დუქნები გაღებულია. სამაზრო „ეპოს“-ს გამგეობა უხვადის დიდ ძალ საქონელს, განსაკუთრებით პირველი მოთხოვნილებისას, როგორიც არის—ფართლეული, მარილი, ნავთი, ასანთი, ლურსმანი და სხვა. ფასებიც ძალიან დაკლებულია და კიდევ კლებულობს.

ნარმა იყიდება 25 კ. ჩაი 28 კ-დან 40 კ-მდე ნავთი 5 კ. მარილი 2 ნახ კ. ასანთი 2 ნახ. კ.

როგორც დანიშნულებით ვიცით, სამაზრო „ეპოს“-ს გამგეობა ბევრი სხვა სოფლებშიც ჰყავს გადაყვანილი დუქნები ახალ სისტემაზე.

თუ ასე გაგრძელდა, სულ ახლო მომავალში შესაძლებელი იქნება სოფლის ბაზრის დაპყრობა, და გლეხების გამოგლეჯა კერძო ვაჭრების ბრჭყალებიდან.

მაკრატლის საკითხის გადაჭრა და ფულის რეფორმა დაჩქარებით ტარდება, ყოველ საქონელზე ფასები ძალიან კლებულობს. სოფლებში შემოვიდა საბჭოთა ვერცხლის და სპილენძის ფულები.

გლეხების სყიდვითი უნარმა 70 პროცენტამდე აიწია. მათი ეკონომიური მდგომარეობა სწრაფად გაუმჯობესდა.

გლეხებს მალე დავინახავთ კარგათ ჩაცმულს და მის მეურნეობას გაუმჯობესებულს.

საბჭოთა მთავრობა, როგორც მუშის და გლეხის მთავრობა, ნამდვილად და ურყევათ ატარებს ცხოვრებაში იმ მიზნებს, რომლებისთვისაც იბრძოდა საუკუნის განმავლობაში მუშა და გლეხი.

ნოქარი.

უარყოფითი მოვლენები ზოგიერთ ცენტრალურ ორგანოებთან დამოკიდებულებაში (სენაკის მაზრა)

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ზოგიერთი განკარგულებანი (მაგ. ცირკულარი №№ 16 და 19) იწვევს ზედმეტ მიწერ-მოწერას, „კანცელარიზმს“. მაგალითად იმისა, რომ ჯანმრთელობის ინსპექტორის მიერ თავის დროზე შესრულებულ და წარდგენილ იყო, ხოლო ხელმეორედ არის მოთხოვნილი ერთი და იგივე 1923 წ. ანგარიში,—ახალი ფორმების თანდართვით. დღევანდელ პირობებში ასეთი ფორმალობა დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით 1923 წ. 16 იანვრიდან № 101, სამთავრობო საქმიანს განაგებენ განათლების ორგანოები. რეორგანიზაციის გატარების (და, მაზრასთან, შრომის [illegible]) შემდეგ, სამთავრობო საქმიანის [illegible] და მისი წარმოება განათლების ინსპექტორთან [illegible] ხდება [illegible]. სამაზრო აღმასკომმა ამ საქმეზე შუამდგომლობა აღძრა ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე № 101 დადგენილების შეცვლის შესახებ. განათლების სახალხო კომისარიატმა [illegible] ამ დარგის [illegible] საერთო მასშტაბით მოგვარება.

ს ს. ს. კომისარიატის საინსტრუქციო საორგანიზაციო განყოფილებისაგან ზოგჯერ დაგვიანებით ვღებულობთ მთავრობის ოფიციალურ ჟურნალ „მოამბეს“, რის გამო აღმასრულებელი ორგანოები თავის დროზე ვერ ეცნობიან მთავრობის დეკრეტებს და დადგენილებებს.

ცენტრალური სტატისტიკის სამმართველო თავის მომართვებით სამაზრო აღმასკომებისადმი უკმაყოფილებას გამოთქვამს ადგილობრივ „სტატბიუროების“ რეორგანიზაციის განუხორციელებლობის გამო და იმავე დროს ხაზს უსვამს სამაზრო აღმასკომის მიერ მაზრაში სტატისტიკის მოსაგვარებლად ზრუნვის თაობაზე და სამართლიანად სახსრების გამოყოფას. მაგრამ „ცესუ“ მაინც ვერ შეიგნებს „სტატბიუროს“ სახელწოდების „სტატმთავრობის“ შეცვლას „ცესუს“ მოხსენით, რომ სტატისტიკის დარგში მუშაობს და მას ეხმარება ერთი კაცი სრულიად მოხელედ (წინეთ იყო 2. შტატი შემცირდა 1 ით); მას დახმარებას უწევს [illegible] განყოფილება ([illegible]) სახელწოდება „სტატბიურო“ ([illegible]) არის მოღვაწეობა. ამ რიგად რეორგანიზაციაში [illegible] აღარ არ ჰქონდა. პირიქით სტატისტიკის საქმე აქეთ არის დაყენებული, [illegible] და ამაზე ზოგიერთ „მოამბეების“ „ცესუ“-სგან ადგილი არ უნდა მისცემოდა.

მომავლისათვის ასეთ წვრილმან, მაგრამ უარყოფით მოვლენებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, თუ კი საქმიან ზომებს მიიღებენ თვით ცენტრალური ორგანოები.

სენაკის სამაზრო აღმასკომის საქმეთა მმართველი ი. კალდეა.

რუისის რაიონი (გორის მაზრა)

26 აპრილს ს. რუისში შესდგა უპარტიო გლეხთა კონფერენცია. დაესწრო მთელი რაიონის დელეგატები. იყო არჩეული პრეზიდიუმი 15 პირისაგან—ამხ. ჩიტიაშვილი, მესხიძე, მესროპოვი და სხვები. საპატიო თავმჯდომარეებად არჩეულ იქნენ ამხ. ცხაკაია, ორახელაშვილი და ორჯონიკიძე. გაეგზავნა დეპეშა სრულიად საქართველოს აღმასკომს და ცეკას.

დღის წესრიგი: 1 საბჭოების ყრილობების შედეგები, ლენინი და გლეხობა; 2. აღმასკომის საანგარიშო მოხსენება.

ამხ. მესროპოვის წინადადებით, კრებამ პატივი სცა ამხ ლენინის ხსოვნას ფეხზე ადგომით.

პირველი საკითხის შესახებ (მომხსენებელი იყო ამხ მესროპოვი) კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. მესროპოვისა, ჩვენ, რუისის რაიონის უპარტიო გლეხთა კონფერენციის დელეგატები სრულიად ვიწონებთ მუშურ გლეხური მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. ჩვენთვის ნათელია, რომ იგი მუდამ იქნება ფხიზელი დარაჯი მშრომელი ხალხის და თავისი მიზანშეწონილი მოქმედებით უფრო გააუმჯობესებს ჩვენს მდგომარეობას, უფრო განამტკიცებს მუშებისა და გლეხების კავშირს და ასე ერთად ხელიხელ ჩაკიდებულნი წარვიყვანენ ბრწყინვალე მომავლისაკენ გაუმარჯოს მუშების და გლეხების კავშირს. გაუმარჯოს საბჭოებს.

მეორე საკითხის შესახებ (მომხსენებელი რუისის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჩიტიაშვილი) დელეგატთა კრება ადგენს: რუისის აღმასკომის მუშაობა დღიდან ამხ. ჩიტიაშვილის თავმჯდომარედ დანიშვნისა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

სხვათა შორის, კონფერენციამ გამოსთქვა სურვილი ეთხოვოს სამაზრო აღმასკომს, რათა გაკეთებულ იქნეს ხიდი მდინარე მტკვარზე, რისთვისაც მთელი რაიონის გლეხობა აღუთქვამს მთავრობას მატერიალურ (ფულით) და ფიზიკურ დახმარებას; დაარსებულ იქნეს რაიონში მთლიანი შრომის სკოლა სასოფლო სამეურნეო განყოფილებით, შენობის გამონახვას და ზოგიერთ მასწავლებლების დაკმაყოფილებას იღებს თავზე იგივე გლეხობა; ეთხოვოს აღმასკომს გამოუწეროს რაიონს სამი 30 ცხენის ძალიანი ტრაქტორი გრძელვადიან სესხის სახით, რომელიც გადახდილ იქნება გლეხობის მიერ; დაარსებულ იქნეს შინდისში სავეტერინარო პუნქტი აფთიაქით შინდისის თემის ხარჯზე და სხვ. ამის შემდეგ, წარმოსთქვა რა საბოლოო სიტყვა ამხან. მესროპოვმა, კონფერენცია დახურულად გამოაცხადა.

ე. ბ.

საგარეჯო (გარე-კახეთი)

საგარეჯოში არსებობს აბანო, აგერ უკვე სამი წელიწადია. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მ გიგინას,— ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ არ იქნა, საგარეჯოს გლეხობამ ვერ შეითვისა ეს. მართალია, ხალხი მაინც მრავლად სარგებლობს აბანოთი, მაგრამ ისეთ დასახლებულ სოფელში, როგორიც არის საგარეჯო, ეს ძლიერ მცირეა. აბანო ხურდება ყოველ კვირას. შაბათ დღეს ფასები ხელმისაწვდომია, მაგრამ შიგ აბანოში საკმარისად არ არის დაცული სისუფთავე, საჭიროა ამას მიექცეს სათანადო ყურადღება ადგილობრივ ჯანმრთელობის პუნქტის გამგემ, შეგნებულმა მასამ—კი უნდა გასწიოს ფართე აგიტაცია გლეხებ შორის სისუფთავის საჭიროების შესახებ, რომ გლეხკაცობამ მასიურად იაროს აბანოში.

ნახსენები აბანო აღებული აქვს იჯარით კერძო კაცს. საჭიროა ადგილობრივ გლეხკომმა თავს იდვას ეს საქმეც და უფრო ენერგიული ნაბიჯები გადადგას მისი სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

აბანოში სიარული უნდა იყოს სავალდებულო ყველა მცხოვრებთათვის, თორემ აბანოს ისე ვერ შეუძლიან არსებობა.

გ. ა. გარსევანიშვილი.

საჩიჯაოს თემი (ზუგდიდის მაზრა)

საჩიჯაოს თემი შესდგება ოთხი სოფლისაგან, შეიძლება მოსახლეობით. აღმოსავლეთით უვლის მდინარე ხობის წყალი და დასავლეთით კი მდ. ჩანის წყალი. ადგილ-მდებარეობა ძლიერ კარგია და ნაყოფიერი მშრომელი გლეხობისათვის. მიუხედავად ამის, საქართველოს გასაბჭოებამდე, საჩიჯაოს თემიც ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა როგორც სწავლა განათლების მხრივ, ისე სხვა დარგშიც.

დღეს კი ამ თემს ვერ იცნობს, ვისაც უნახავს სამი-ოთხი წლის წინათ ხალხმა გაიკეთა ფართე და მოკირწყლული შარა-გზები და ამნაირად შეუერთდა როგორც რაიონს, ისე ირგვლივ მეზობელ თემებს; ხშირ ათეულ ადგილებზე გააკეთა ხის ხიდები; შეიძინა თოვლადის კანატი 150 ფუთი, მდინარე ხობის წყლის გასაშენებლად, შეიძინა ტელეფონი, ააგო ერთი დიდი ცხრა ოთახიანი შენობა, რომელშიაც მოთავსებულია კლუბ-სამკითხველო, სამკურნალო სკოლა და საბჭოს კანცელარია. გადააკეთა ამ თემის სკოლის შენობები და დააკმაყოფილა სკოლის ყოველ-გვარი მოთხოვნილებანი, ინვალიდებს და ქვრივ-ობლებს გაუწია დიდი დახმარება, უმიწა-წყლო გლეხობას მისცა მიწები, აგრარული რეფორმა ჩინებულად იქნა ჩატარებული. მშრომელი გლეხობა მეტად კმაყოფილია. ვინც კი იცნობდა ამ თემს აქნობამდის, ახლა მოეჩვენება დაბად.

ყველა ამ მუშაობას მეთაურობდნენ ხელმძღვანელები კომპარტიის წევრი, ამხ. ბეგლარ ნიკოლაიშვილი, რომელიც გასაბჭოების დღიდან იქნა დანიშნული ამ თემის რევკომის თავმჯდომარეთ. სამი წლის დაუძინებელი, დაუღალავი შრომა და ლტოლვა მოძღვრის ხსენებულ ამხანაგს ამ თემის ასაყვავებლად და კიდეც მიაღწია დასახულ მიზანს. მშრომელი გლეხობა მეტად კმაყოფილი იყო და ნამდვილ ფასს უწევდა მის ენერგიულ მოღვაწეობას. იგი პირნათლად ასრულებდა როგორც ადგილობრივი გლეხთა საბჭოს დადგენილებებს, ისე უმაღლესი მთავრობის ყოველგვარ მოთხოვნილებებს.

1923 წლის ნოემბრის თვეში ამხ. ბეგლარ ნიკოლაიშვილი არჩეულ იქნა რაიაღმასკომის თავმჯდომარეთ ახალსენაკის რაიონში და მუშაობდა ამ თანამდებობაზე შვიდი ორი თვე. ამ მოკლე ხნის განმავლობაში მეტად საჭირო საქმეები გააკეთა ამ რაიონში შემავალ თემებში და მომავლისათვის ბევრი სხვადასხვა გეგმები დამოამზადა.

მაგრამ უცნობელი ის ამხანაგი რაღაც გაუგებრობით მოხსნილი იქნა თავის თანამდებობიდან და მის ადგილზე დანიშნულ სხვა ამხანაგი.

ამხ. ბ. ნიკოლაიშვილის მოხსნამ ძლიერ ცუდი გავლენა მოახდინა მშრომელ გლეხობაზე, რადგანაც ხედავდენ ამხ ნიკოლაიშვილის პირნათელ და თავდადებულ მუშაობას მშრომელი გლეხობის საკეთილდღეოდ.

საჭიროა ასეთ არასასურველ მოვლენას სასწრაფოდ მიექცეს სათანადო ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

თაყამ.

გურიას

(შთაბეჭდილებანი)

გურიისკენ გავემგზავრე. ღამის 8 საათი იქნებოდა, როცა მატარებელი ლანჩხუთის სადგურზე გაჩერდა. იქ მეგულებოდა თბილისში გაცნობილი ახალგაზრდა მსახიობი ილია ორაგველიძე.

ვიკითხე მისამართი. მითხრეს: ქალაქის განაპირას შუხუტის უბანში ცხოვრობსო.

მოვნახე მგზავრი და წავედით.

ლანჩხუთის სივრცე ფართო აღმოჩნდა. უმთავრესი ადგილები განათებული იყო ელექტრონით.

გაშლილი მდებარეობა, შემოფარგლული ეზოები, მოვლილი არე-მარე ვიწრობისაგან მიჩვეულ თვალს უთუოდ მოიტაცებდა და მნახველს სიამოვნებით აუძგერებდა გულს.

თანდათან სიბნელემ მოიცვა გზა. ეტყობოდა სინათლის ძალა ყველგან არა ჰყოფნიდა.

ჩემს თანამგზავრს ვკითხავდი ხალხის ზნე ჩვეულებას. ის სიამაყით მიამბობდა, რომ გურიაში ქურდობა იშვიათი მოვლენა არის, საქონელი ხშირად ღამე გარეთ რჩება, მეზობელი მეზობელს არ აწუხებს და სხვა. სწორედ მოგახსენოთ, მეწონებოდა მათი გაწყობილი ცხოვრება.

ოცნებით გატაცებულმა უცებ დიდ ქუჩიდან თვალი მოვკარი მოზრდილ ბაღჩიან ეზოს, რომელშიაც კოხტა სახლის აივნის წინ დამაზე კაკლის ხე იდგა და კაკლის ქვეშ განაბრწყინებულ ბუჩქებში პატარა ლამპარი ციმციმებდა.

— ეს რა შუქია?—ვკითხე გზის მასწავლებელს.

— კანდელი ანთია—მიპასუხა მან.

— ვის უნთია კანდელი? ნუ თუ თქვენშიაც არიან ცრუმორწმუნეები?!

— ნოე ჟორდანიას ვიღაც მარხია კაკლის ქვეშ და იმას უნთია კანდელი.

— კაცო და... ჟორდანია ხომ წინეთ საიქიოს წინააღმდეგ ქადაგობდა?!—გავიკვირვე მე.

— „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაო“...—მოკლედ მომიჭრა ჩაკვირვებულმა გლეხმა და დამანახვა ორაგველიძის ბინა.

მასპინძლები შემომეხვივნენ. მიესალმეთ ერთმანეთს. გამიწვიეს თეატრში.

— რას თამაშობთ?—შევეკითხე.

— სურამის ციხეს.

— თეატრი კარგი გაქვთ?

— აქამდის არა გვქონდა, მაგრამ ახლა გვაქვს.—თავმომწონედ მიპასუხა ილია ორაგველიძემ.

— როგორ?

— ეკლესიას მოვხსენით ჯვარი, გარეთ გამოვრეკეთ ხატები, პარტერი ავავსეთ სავარძლებით, ტრაპეზზე მოვაწყეთ სცენა და ყოველკვირა ვმართავთ წარმოდგენებს.

— ხავერდის ანაფორებიდან ქულაჯები ჩვენ შევკერეთ მსახიობებისათვის.—ღიმილით წამოიძახა ილიას პატარა დამ.

— გული იმაზე მიკვდება... რატომ იმ დალოცვილმა ეკლესიამ ერთი სასწაული არ უჩვენა ხალხს?!..—საყვედურით ამბობდა ილიას მორწმუნე დედა.

— ფუღურო კაკლის რა სასწაულის

ყოფილ“ დემოკრატიისა და სხვების სახეებ არის ბურჟუაზიული დიქტატურა.

იმ უეჭველი ფაქტისა, რომ გაყვლეფილთა და მჩაგვრელთა თანასწორობა შეუძლებელია. „წმინდა“ დემოკრატიის თეორია არის თეორია მუშათა კლასის იმ ნაწილის, რომელიც შეიჩვევს და რომელსაც კვებავს იმპერიალისტური მტაცებლები. ის დაიბადა იმისათვის, რომ დაფაროს კაპიტალიზმის მახინჯი მხარეები, შეაფეროს იმპერიალიზმი და მას მორალური ძალა მიანიჭოს ექსპლოატირებულ მასების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში. კაპიტალიზმის დროს არ არის და არც შეიძლება იყოს ნამდვილი „თავისუფლებები“ გაყვლეფილ მასებისათვის, თუნდაც იმიტომ, რომ შენობები, სტამბები, ქაღალდის საწყობები და სხვ., რომელიც საჭიროა „თავისუფლებათა“ გამოსაყენებლად, ექსპლოატატორების პრივილეგიას შეადგენს. კაპიტალიზმის დროს არ არის და არც შეიძლება იყოს გაყვლეფილი მასების მიერ მონაწილეობის მიღება ქვეყნის მმართველ-გამგეობაში, თუნდაც იმიტომ, რომ ყველაზე უფრო დემოკრატიულ წესწყობილების დროს კი კაპიტალიზმის პირობებში მთავრობას ნიშნავს არა ხალხი, არამედ როტშილდები და სტინესები, როკფელერები და მორგანები. დემოკრატია კაპიტალიზმის დროს არის კაპიტალისტური დემოკრატია, მჩაგვრელთა უმცირესობის დემოკრატია, რომელიც ემყარება გაყვლეფილ უმრავლესობის უფლებების შეზღუდვას, და ამ უმრავლესობის წინააღმდეგ მიმართულია. მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის დროს არის შესაძლებელი ნამდვილი „თავისუფლებები“ გაყვლეფილი მასებისათვის და პროლეტარების და გლეხების ნამდვილი მონაწილეობა ქვეყნის მმართველ-გამგეობის საქმეში. დემოკრატია პროლეტარიატის დიქტატურის დროს არის პროლეტარული დემოკრატია, გაყვლეფილ უმრავლესობის დემოკრატია, რომელიც დამყარებულია მჩაგვრელ უმცირესობის უფლებათა შეზღუდვაზე; და ასეთი დემოკრატია მიმართულია ამ უმცირესობის წინააღმდეგ.

მეორე დასკვნა. პროლეტარიატის დიქტატურა არ შეიძლება აღმოცენდეს, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების და ბურჟუაზიული დემოკრატიის მშვიდობიანი განვითარების შედეგი,—ის იბადება მხოლოდ მაშინ, როდესაც სწარმოებს ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის, ბურჟუაზიული არმიის, ბურჟუაზიულ ჩინოვნიკურ აპარატის და ბურჟუაზიულ პოლიციის ნგრევის პროცესში.

„მუშათა კლასს არ შეუძლია ისე, უბრალოდ დაეუფლოს გამზადებულ სახელმწიფო მანქანას და აამუშაოს ის საკუთარი მიზნებისათვის“,—ამბობენ მარქსი და ენგელსი „სამოქალაქო ომის“ წინასიტყვაობაში. —პროლეტარულმა რევოლიუციამ „... ერთი ხელიდან მეორე ხელში კი არ უნდა გადასცეს ბიუროკრატიული—სამხედრო მანქანა, როგორც ეს აქამდის იყო, არამედ უნდა დაამსხვრიოს ის...

ასეთია წინასწარი პირობა ყოველგვარი ნამდვილი ხალხური რევოლიუციისა კონტინენტზე“ ამბობს მარქსი 1871 წ. თავის წერილში, რომელიც მიმართულია კუგელმანისადმი.

მარქსის გამოთქმულმა ფრაზამ კონტინენტის შესახებ საბაბი მისცა ყველა ქვეყნების ოპორტუნისტებს და მენშევიკებს ეყვირათ იმაზე, რომ მარქსს, მაშასადამე, შესაძლებლად მიაჩნდა ბურჟუაზიული დემოკრატიის მშვიდობიანი განვითარების გზით პროლეტარულ დემოკრატიად გარდაქმნა, ყოველშემთხვევაში, ზოგიერთ იმ ქვეყნებისათვის, რომელნიც არ შედიან ევროპიულ კონტინენტის შემადგენლობაში (ინგლისი, ამერიკა). მარქსს მართლაც შესაძლებლად მიაჩნდა ასეთი მშვიდობიანი განვითარება, და მას ჰქონდა საფუძველი ასეთი გამონაკლისი დაეშვა წარსული საუკუნის 70 წლების ინგლისისა და ამერიკისათვის, როდესაც ჯერ კიდევ არ ყოფილა მონოპოლიური კაპიტალიზმი, არ ყოფილა იმპერიალიზმი და ამ ქვეყნებს, მათი განვითარების განსაკუთრებულ პირობების გამო, ჯერ კიდევ არ ჰქონიათ განვითარებული „ვოენშჩინა“ და ბიუროკრატიზმი, ასე იყო საქმე განვითარებულ იმპერიალიზმის გაჩენამდი. მაგრამ 30—40 წლის შემდეგ, როდესაც საქმეთა ვითარება ამ ქვეყნებში ძირიანათ შეიცვალა, როდესაც განვითარდა იმპერიალიზმი და მოიცვა ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებს, როდესაც „ვოენშჩინა“ და ბიუროკრატიზმი გაჩნდნენ ინგლისშიც და ამერიკაშიც, როდესაც ინგლისის და ამერიკის განვითარების განსაკუთრებული პირობები მოისპო—გამონაკლისი ამ ქვეყნებისათვის თავისთავად უნდა გაუქმებულ ყო

„ეხლა,—ამბობს ლენინი,—1917 წ., პირველი დიდი იმპერიალისტური ომის ეპოქაში, მარქსის ეს გამონაკლისი უქმდება, და ინგლისიც და ამერიკაც,—ეს ყველაზე დიდი და უკანასკნელი წარმომადგენლები მთელს მსოფლიოში ანგლო საქსონური თავისუფლებისა „ვოენშჩინის“ და ბიუროკრატიზმის უქონლობის მხრივ, სებით გადავიდნენ ბიუროკრატიულ—სამხედრო დაწესებულებების საერთო—ევროპიულ ბინძურ და სისხლიან ჭაობში, ეს იმ დაწესებულებების ჭაობში, რომელნიც ყველაფერს იმორჩილებენ და ყველაფერს ფარავენ. ეხლა ინგლისშიც და ამერიკაშიც „წინასწარი პირობა ყოველგვარი ნამდვილი ხალხური რევოლიუციისა“ არის „გამზადებულ“ სახელმწიფო მანქანის (რომელიც დამზადებულია იქ 1914—1917 წწ. „ევროპიულ“, საერთო იმპერიალისტურ მიღწევამდი) დამსხვრევა, განადგურება („სახელმწიფო და რევოლიუცია“).

სხვანაირათ რომ ვთქვათ, პროლეტარიატის რევოლიუციის კანონი ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევის კანონი, როგორც წინასწარი პირობა ასეთი რევოლიუციისათვის, მსოფლიოს იმპერიალისტურ ქვეყნებში რევოლიუციონური მოძრაობის აუცილებელ კანონს წარმოადგენს.

რასაკვირველია, შორეულ მომავალში, თუ პროლეტარიატი გაიმარჯვებს კაპიტალიზმის მნიშვნელოვან ქვეყნებში და თუ ახლანდელი კაპიტალისტური ალყა შემორტყმა შეიცვლება სოციალისტური ალყა შემორტყმით, სავსებით შესაძლებელია განვითარების „მშვიდობიანი“ გზა ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, საცა კაპიტალისტები „არა ხელსაყრელი“ საერთაშორისო მდგომარეობის გამო, მიზანშეწონილად ჩათვლიან პროლეტარიატისადმი „ნებაყოფლობით“ სერიოზულ დათმობებზე წასვლას. მაგრამ ეს მოსაზრება შეეხება მხოლოდ შორეულ და შესაძლებელ მომავალს. ახლო მომავლისათვის, ამ მოსაზრებას არა აქვს არავითარი, სრულიად არავითარი საფუძველი.

ამიტომ ლენინი მართალია, როცა ამბობს რომ:

„პროლეტარული რევოლიუცია შეუძლებელია ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის ძალით დანგრევის და მისი ახლით შეცვლის გარეშე („პროლეტარული რევოლიუცია“).

3 საბჭოთა ხელისუფლება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა.

პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება ნიშნავს ბურჟუაზიის დათრგუნვას, ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევას, ბურჟუაზიული დემოკრატიის შეცვლას პროლეტარული დემოკრატიით ეს ნათელია. მაგრამ როგორია იმ პროლეტარიატის ორგანიზაციის ის ფორმები, რომლებსაც შეუძლიათ თავის თავზე ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის მესაფლავეების როლი, რომლებსაც შეუძლიათ არა მარტო დაამსხვრიონ ეს მანქანა და არა მარტო შესცვალონ ბურჟუაზიული დემოკრატია პროლეტარული დემოკრატიით, არამედ გახდნენ პროლეტარული სახელმწიფო ძალაუფლების საფუძვლათ?

პროლეტარიატის ორგანიზაციის ამ ახალ ფორმას წარმოადგენენ საბჭოები.

რაშია საბჭოების ძალა ორგანიზაციის ძველ ფორმებთან შედარებით?

იმაში, რომ საბჭოები წარმოადგენენ პროლეტარიატის უფრო ფართე მასიურ ორგანიზაციებს, ვინაიდან მხოლოდ ისინი აერთიანებენ ყველა მუშებს.

იმაში, რომ საბჭოები წარმოადგენენ ერთად-ერთ მასიურ ორგანიზაციებს, რომლებიც აერთიანებენ ყველა დაჩაგრულებს და გაყვლეფილებს, მუშებს და გლეხებს, ჯარისკაცებს და მეზღვაურებს, და სადაც მასების ბრძოლის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მასების ავანგარდის მხრივ, პროლეტარიატის მხრივ, ამის გამო უფრო ადვილად და უფრო სრულად განსახორციელებელი ხდება.

იმაში, რომ საბჭოები არიან მასების რევოლიუციონური ბრძოლის, მასების პოლიტიკური გამოსვლების, მასების აჯანყების უძლიერესი ორგანოები, ორგანოები, რომლებსაც შეუძლიათ ფინანსიური კაპიტალის და მისი დამატებების ყოვლის შემძლეობის დამსხვრევა.

იმაში, რომ საბჭოები წარმოადგენენ თვით მასების უშუალო ორგანიზაციებს, ე. ი. ისინი მასების ყველაზე უფრო დემოკრატიული, და მაშასადამე ყველაზე უფრო ავტორიტეტული ორგანიზაციები არიან. ისინი მაქსიმალურად უადვილებენ მასებს მონაწილეობას ახალი სახელმწიფოს მოწყობაში და მის მმართველობაში, მაქსიმალურად აწვითარებენ რევოლიუციონურ ენერგიას, და ინიციატივას, მასების შემოქმედებითი უნარის ძველი წყობილების დანგრევისათვის ბრძოლაში, ბრძოლაში ახალი, პროლეტარული წყობილებისათვის

საბჭოთა ხელისუფლება არის ადგილობრივ საბჭოების გაერთიანება და ჩამოყალიბება ერთ საერთო სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად, პროლეტარიატის,—როგორც დაჩაგრული და გაყვლეფილი მასების და როგორც გაბატონებული კლასის,—სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად,—გაერთიანება საბჭოთა რესპუბლიკის სახით.

საბჭოთა ხელისუფლების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყველაზე უფრო მასიური და ყველაზე უფრო რევოლიუციონური ორგანიზაციები სწორედ იმ კლასების, რომლებსაც წინათ სჩაგრავდენ კაპიტალისტები და მემამულეები, ახლა წარმოადგენენ „მთელი სახელმწიფო აპარატის, მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლების მუდმივ და ერთად ერთ დასაყრდენს“, რომ „სწორედ ის მასები, რომლებიც თვით ყველაზე უფრო დემოკრატიულ რესპუბლიკებში“, კანონით სწორუფლებიანი არიან „საქმეზე კი, სხვადასხვა ხერხისა და ხრიკების საშუალებით მათ აცილებენ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობიდან და დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენებიდან, ახლა მუდმივ, აუცილებელ და ამავე დროს გადამწყვეტ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოს დემოკრატიულ მმართველობაში“ (ლენინი, თხზულებები, ტ. 16)

აი რატომ არის საბჭოთა ხელისუფლება სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ახალი ფორმა, რომელიც პრინციპიალურად განსხვავდება ძველი, ბურჟუაზიულ დემოკრატიული და პარლამენტარული ფორმისაგან, სახელმწიფოს ახალი ტიპი, რომელიც შეგუებულია არა მშრომელი მასების გაყვლეფისა და დაჩაგვრის ამოცანებთან, არამედ მათი ყოველგვარი ყვლეფისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლების ამოცანებთან პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანებთან.

ლენინი მართალია, როცა ამბობს, რომ საბჭოთა ხელისუფლების გაჩენასთან ერთად „ბურჟუაზიულ დემოკრატიული პარლამენტარიზმის ეპოქა დასრულდა, გადაიშალა ახალი ფურცელი მსოფლიო ისტორიაში: დაიწყო პროლეტარული დიქტატურის ეპოქა“

რაშია საბჭოთა ხელისუფლების დამახასიათებელი თვისებები?

იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის ყველაზე უფრო მასიური, ყველაზე უფრო დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ყველა შესაძლებელ სახელმწიფო ორგანიზაციებიდან კლასების არსებობის პირობებში, ვინაიდან ის არის მუშებისა და გაყვლეფილი გლეხების დაკავშირების და თანამშრომლობის ასპარეზი. საბჭოთა ხელისუფლება აიყრდნობა ამ კავშირზე და თანამშრომლობაზე და ამიტომ წარმოადგენს მცხოვრებთა უმრავლესობის ბატონობას უმცირესობაზე, ამ უმრავლესობის სახელმწიფოს, მის დიქტატურის გამოხატულებას.

იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყველაზე უფრო ინტერნაციონალური კლასობრივი საზოგადოების ყველა სახელმწიფო ორგანიზაციებიდან, ვინაიდან ის სპობს ყოველგვარ ნაციონალურ ჩაგვრას, ეყრდნობა სხვადასხვა ეროვნების მშრომელი მასების თანამშრომლობას და ამით აადვილებს ამ მასების გაერთიანებას მთლიან სახელმწიფო კავშირში.

იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება თვით თავისი სტრუქტურით, აადვილებს დაჩაგრული და გაყვლეფილი მასების ხელმძღვანელობას ამ მასების ავანგარდის მხრივ, პროლეტარიატის მხრივ, როგორც რაზმისა პროლეტარიატი საბჭოების ყველაზე შეკავშირებული და ყველაზე უფრო შეგნებული ცენტრია.

„ჩაგრული კლასების ყველა მოძრაობათა გამოცდილება, მსოფლიო სოციალისტური მოძრაობის გამოცდილება,—ამბობს ლენინი,—გვასწავლის ჩვენ, რომ მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია გააერთიანოს მშრომელი და გაყვლეფილი მოსახლეობის გაფანტული და ჩამორჩენილი ფენები და გაიყოლიოს ისინი“. (ლენინი, თხზულებები, ტ. 16). საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურა აადვილებს ამ გამოცდილების გაკვეთილების გამოყენებას.

იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება აერთიანებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას სახელმწიფოს ერთიან ორგანიზაციაში და ტერიტორიალურ საარჩევნო ოლქებს ცვლის საწარმოო ერთეულებით ფაბრიკა-ქარხნებით და ამით უშუალოდ აკავშირებს მუშებსა და საერთოდ მშრომელ მასებს სახელმწიფო მმართველობის აპარატებთან, ასწავლის მათ სახელმწიფოს მეთაურობას.

იმაში, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია იხსნას არმია ბურჟუაზიული სარდლობისათვის დამორჩილებისაგან და ხალხის დამჩაგვრის იარაღად გადაქცევისაგან,—როგორიც არის ის ბურჟუაზიული წესწყობილების დროს,—ის ხდის მას ხალხის „საკუთარი და უცხო ბურჟუაზიის ბატონობისაგან განთავისუფლების იარაღად“.

იმაში, რომ სახელმწიფოს მხოლოდ საბჭოთა ფორმას, როცა მშრომელთა და გაყვლეფილთა მასიური ორგანიზაციები მუდმივ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოს მმართველობაში, შეუძლია მოამზადოს სახელმწიფოებრიობის ის თანდათანობითი სიკვდილი, რომელიც, მომავალი არასახელმწიფოებრივი კომუნისტური საზოგადოების ერთ მთავარ ელემენტს წარმოადგენს.

საბჭოების რესპუბლიკა, ამრიგად არის ის აღმოჩენილი ფორმა, რომლის ფარგლებში უნდა მოხდეს პროლეტარიატის ეკონომიური განთავისუფლება, სოციალიზმის სრული გამარჯვება.

პარიზის კომუნა ამ ფორმის ჩანასახი იყო. საბჭოთა ხელისუფლება არის მისი გაგრძელება და განვითარება.

აი რატომ ამბობს ლენინი, რომ.

„მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების რესპუბლიკა წარმოადგენს არა მარტო უმაღლესი ტიპის დემოკრატიული დაწესებულებების ფორმას, არამედ აგრეთვე ერთად ერთ ფორმას, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს რაც შეიძლება უფრო უმტკივნეულოდ გადასვლა სოციალიზმში“ („თეზისები დამფუძნებელი კრების შესახებ“).

(გაგრძელება იქნება)

მუშათა ცხოვრება

23 მაისს, საღამოს 6 საათზე ჩვენი რედაქციის ბინაზე დანიშნულია „კომუნისტი"-ს მუშკორების საგანგებო კრება

კრებაზე გაირჩევა ფრიად საყურადღებო საკითხები; მუშკორები უნდა გამოცხადდენ უკლებლად და დანიშნულ დროზე

სამწუხარო ექიმობა

(ჯანმრთელობის კომისრის საყურადღებოდ).

გინეკოლოგიურ ინსტიტუტში არსებობს რენტგენის კაბინეტი, სადაც სხივებით აქიმობენ დაავადებული მუშა მოსამსახურენი. კაბინეტში მუშაობს ერთი სუსტი მანქანა, მეორე—ძლიერი, ახლად მიღებული, არ მუშაობს, რადგანაც ნაწილებს ელიან კიდევ დამატებით სუსტ მანქანით ფრიად გაჭიანურებულ ექიმობას კიდევ შეურიგდებოდა კაცი, რომ კაბინეტს, მეორე უფრო დიდი მომაკვდინებელი ცოდვა არ ჰქონდეს: მოგახსენებთ ელექტრ.-ენერგიის სადგურიდან მიღების უსისტემობის შესახებ ყველაფერი დამოკიდებულია ელსადგურის კაპრიზებზე. ხშირად სადგური შუა ექიმობის დროს სწყვეტს ნაკადს; ხშირად ძალზე ავადმყოფებს და ხანდისხან სულ არ მოვა და ავადმყოფების ხანგრძლივი ცდა რიგში ფუჭად იქცევა. აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე ელსადგურს ტელეფონის კავშირი არ აქვს კაბინეტთან, რომ კაცმა დროზე გაიგოს სადგურის მდგომარეობა და ტყვილა არ იცადოს.

ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა მედიცინის ძირითადი პრინციპს მისი უფასობა შეადგენს. ამ შემთხვევაში კი მდგომარეობა ისეთია, რომ დაავადებულს სრული უფლება აქვს იფიქროს „იაფ ხორცს წვენი არ გაუვაო". ო და უკანასკნელი ნიოფლარის მიცემას ამჯობინებს კერძო ექიმისთვის უფრო მოხერხებულ ექიმობისთვის.

ასეთ მდგომარეობას უსათუოდ ყურადღება უნდა მიექცეს: სადგური უნდა გამოიცვალოს, ტელეფონი დაიდგას და დიდი მანქანის ნაწილების საჩქაროთ მისაღებათ ზომებიც უნდა იქნას მიღებული.

დაზარალებული ავადმყოფი.

წითელი სასადილო

3 მაისს ვაგზლის ქუჩაზე გაიხსნა წითელი სასადილო, რომელშიაც სუფევს სრული სისუფთავე და სასიამოვნოდ მოწყობილია. აქ შეუძლია ყოველ მუშას თავისუფლად ისადილოს და ოჯახშიაც წაიღოს უკვე მომზადებული საჭმელი, და დარწმუნებულიც ვართ, რომ ახლო მომავალში კერძო სამიკიტნოებში აღარც დაგვჭირდება სიარული და მათ ვალეტში აღარ ჩავებმევით, ასე შეიძლება ითქვას მხოლოდ მუშების ერთ ნაწილზე. უმრავლესობა მუშებისა კი განსაკუთრებით თუთუნის ქარხნებისა რომელნიც მის მახლობლად მუშაობენ ამათ კი სრულიად არ შეუძლიათ ამ წითელ სასადილოში ფეხის შედგმაც, რადგანაც აქ საუზმე, ან სადილობა სწარმოებს მხოლოდ ნაღდზე. ჩვენი ქარხნის მუშები კი ფულს ღებულობენ თვეში ორჯერ 1-დან—15 მდე. ამიტომ არც ერთი ჩვენი ქარხნის მუშები აქ ვერ ისადილებენ, რადგანაც მათ ყოველდღე ხელში ფული არ აქვთ. და სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენ ქარხანაში 200ზე მეტი მუშა მუშაობს, და დღემდისაც კი ბევრს არც შეუხედნია იქ.

დაბალი კატეგორიის მუშები კი აქ იშვიათათ შევლენ. მაშასადამე, ასეთი სასადილოები ჩვენ, მუშებს სავსებით ვერ დაგვაკმაყოფილებს, თუ სხვა გზა და საშუალება არ გამოინახა. ერთ გზად მიგვაჩნია მახლობელ თუთუნის ქარხნის მუშებისთვის მუშკოპის მიერ კრედიტის გახსნა თვის 1—დან—15 დის.

წითელი სასადილოს დანიშნულებაა მშრომელ ხალხს შეუმსუბუქოს ცხოვრება საჭიროებისდაგვარად სადილების მიწოდებით მუშების და მათი ოჯახის წევრთათვის.

მუშკორი, ალ. ბ—შვილი.

ადმინისტრაცია ექსპლოატაციას ეწევა

(მთავარ სახელმწიფო შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის საყურადღებოდ)

მთელი სამი თვეა გვამუშავებს სახელოსნოების ადმინისტრაციამ მეშანგარეები და მოანგარიშეები ზედმეტი ორი ორი საათი ყოველ დღე, ე. ი. 6 საათის მაგივრად 8 საათი, რითაც დაარღვია შრომის კოდექსის მე 95 ტ მუხლი. ჩვენმა თხოვნამ კავშირის წინაშე 8 საათის სამუშაო დღის მოხსნის შესახებ მიზანს მიაღწია, მაგრამ ზედმეტი ნამუშევარი საათების ფულის გადახდა არ სურს ადმინისტრაციას. და ჩვენთვის ნიოფლარი ფულის მიცემის საკითხი უყურადღებოდ დასტოვა. ჩვენ კი ვიცით, რომ თანახმად საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიის დადგენილების მე 15-ტე პარაგრაფისა, ამგვარი კონფლიქტი უნდა იქნას გარჩეული საჯაროდ მომჩივანთა წარმომადგენლების თანდასწრებით—და არა დახურულ კარებში. ჩვენ მოვითხოვთ საკონფლიქტო შემფასებელ კომისიისაგან რომ ხელახლა იქნეს გადასინჯული ჩვენი საქმე ღია კარებში ჩვენ წარმომადგენლების თანდასწრებით და კანონიერი განაჩენიც იქნეს გამოტანილი.

აჭარის მუშა

ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ

ჩვენ ბევრ წერილებს ვწერთ სხვადასხვა ქუჩების უსუფთაობის შესახებ. ცხადია, რომ აღმასკომმა ბევრი რამ გააკეთა ამ მხრივ, მაგრამ ერთი ქუჩა (სახელდობრ კნორინგოვისა) დარჩა ძველებურად სიბინძურეში. თქვენ ძალიან ძნელად შეხვდებით ამნაირ უსუფთაო ქუჩას ნუ თუ ამ ქუჩას მეეზოვე არ ყავს, რომ ქუჩა სუფთად შეინახოს?!

მუშკორი ი. ჯ.

მუშათა ქრონიკა

— **სამაგალითო გასამართლება.** 6 მაისს სახალხო სასამართლომ გაარჩია მოქ. ცხომელაძის საქმე, რომელსაც იჯარით ჰქონდა აღებული ვაგონი-რესტორანი, სადაც ამუშავებდა 7 თვის განმავლობაში მოქ. ვიშნევეცკაიას. ამ ხნის განმავლობაში ის მან არც კავშირში ჩასწერა და არც რაიმე შრომის კანონებს იცავდა მის მიმართ. სასამართლომ ცხომელაძეს მიუსაჯა 50 მანეთი ჯარიმა და აღნიშნულ თვეების ნაშრომი ხელფასის გადახდა ვიშნევეცკაიას სასარგებლოდ.

— **მუშები გარეთ რჩებიან.** რადგან „25 ოქტომბრის" სახელობის ქარხანის ნაწარმოებ ასანთს ძლიერ დიდი აქციზი დაადეს, გადაწყვეტილია მისი დახურვა. ქარხნის დახურვა გამოიწვევს 50 მუშის უადგილოდ დატოვებას.

— **სამუშაოზე გაგზავნა.** თვითსწავლების მოლაპარაკება დემობილიზაციით განთავისუფლებულ წითელარმიელების ქ. ჭიათურაში სამუშაოზე გასაგზავნად.

— **დასახლებულ სახლებში გასაგზავნად:** ხელოვნების მუშაკთა კავშირის განცალკევებულ წევრების დასახლებულ სახლებში გასაგზავნად შემოწმება დაიწყება 26 მაისიდან ტფილისის ღამღლივ სახაზოს ბინაზე, ყოფ. ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ. შემოწმება იწარმოებს საღ. 4—7 საათამდე.

— **სამუშაოზე გაგზავნისათვის:** ყველა ხელოვნების მუშაკთა კავშირის განცალკევებული წევრები ვალდებული არიან აღირიცხონ შრომის ბირჟაში ხელოვნების მუშსექციაში და მიიღონ წიგნაკები, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სამუშაოზე არ გაიგზავნებიან.

— **ცუდ მდგომარეობას განიცდიან.** ქუთაისში ადგილობრივ აღმასკომის ხარჯზე მყოფი მუშა მოსამსახურეები საშინელ მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი ჯამაგირების სიცოტავის და ამავე დროს მისი დროით მიუღებლობის გამო, რაც გამოწვეულია აღმასკომის დავალიანებით. შექმნილია მეტად უმწეო მდგომარეობა, რისთვისაც შესაფერი ზომების მიღება საჭიროა.

— **უმუშევრობა ქუთაისში:** უმუშევრობა ქუთაისში ჩვეული საკითხად სდგას. ადგილობრივ სამრეწველო ბიუროს იმედი აქვს, საქსოვი ქარხნის გახსნით, მდგომარეობის ცოტათი თუ ბევრით გაუმჯობესებისა. იგივე ბიურო ზომებს იღებს უმუშევართა დასახმარებელ ფონდის შესაქმნელათ.

— **სამაგალითო აღმასკომი:** თელავის რაიონში ადგილობრივი რაიაღმასკომი ჩინებულად მუშაობს ყოველ დარგში მიწა-ტყის კავშირის აღმასკომთა შორის ის სამაგალითოთ ითვლება. თელავის რაიონის აგრო კულტურისა და განათლების მხრივ ჩამორჩენის გამო ის მთავარ ყურადღებას აქცევს კულტ-მუშაობას და გლეხებისათვის აგრონომიული დახმარების მიწოდებას. დიდი ყურადღება ექცევა მუშათა კლუბებისა და სკოლების მუშაობას და მუშების მიერ გაზეთების გამოწერას.

— **შრომის ექსპლოატატორის განდევნა.** ამას წინად კახეთის რკინისგზის ლიანდაგის დათვალიერების დროს გამოირკვა, რომ 3 ჩ 14 მოქალაქე. მატინოვი თავის მუშებს 8 საათზე მეტს ამუშავებდა და სრულ კმაყოფას არ აძლევდა, რის გამოც დადგენილ იქნა მისი სამსახურიდან დათხოვნა და მის ალაგზე პატიოსან მუშაკის დანიშვნა.

— **შავი ქვის მზიდველ მეურმეთა შეკავშირება.** ქ. ჭიათურაში ადგილობრივმა პროფესიონალურმა ორგანოებმა სათანადო ზომები მიიღეს, რათა შეაკავშირონ და დააზღვიონ შავი ქვის მზიდველი მუშა მეურმეები.

— **ჩინებულად მუშაობენ:** ქუთაისის ახალგაზრდა მუშები ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ. სამაზრო პროფბიუროს მიერ ისინი ყველა აღრიცხვაზე აყვანილი. მათ თავიანთი წარმომადგენლები ყავთ პროფორგანიზაციებში: ტყიბულში, სამტრედიაში და სხვ. ისინი დიდ დახმარებას უწევენ შრომის ინსპექტორებს და დიდ ყურადღებას აქცევენ შრომის კანონების მტკიცეთ შესრულებას.

— **უმაღლესში ღებულობენ მონაწილეობას:** შორაპანის მუშა მოსამსახურეთა შორის ადგილობრივი პროფორგანოები და აღმასკომები ფართო კამპანიას ატარებენ მათი წითელი ჯარის საზოგადოებებში წევრებათ ჩაწერისათვის.

მოხდენა შეუძლია?!—მიუგო შვილებზე გაჯავრებულ დედას ილიას მოხუცებულმა მამამ.—ოთხმოცი წლის კაცი ვარ და მაგ საყდარს არავისთვის უშველია. იქ მარტო მატყუარა მღვდლები სუქდებოდნენ ღლაპუნის ძახილით ჩვენს ზურგზე. მუშა თავის გაკეთებულს როგორც უნდა ისე გამოიყენებს..

აღფრთოვანებული შვილები გადაეხვევიან მამას

დიასახლისმა რომ მეუღლის გარდატეხა დაინახა, სინამდვილეს დამორჩილდა და წავიდით გუმბათ მოხდილ ტაძარში სურამის ციხის სანახავად.

ვაშა, პროვინციის გამოფხიზლებას!

მუშა გიგო ხეჩუაშვილი.

მენშევიკების განცხადება

(წერილები რედაქციის მიმართ)

ამხ. რედაქტორო!

სამ წელზე მეტია, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ამ ხნის განმავლობაში, ანტი საბჭოთა ფრონტში მოქცეული, საქ. ახალ. მარქსისტთა ორგანიზაციები იბრძოდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რითაც ისინი ასცდენ იმ ჭეშმარიტ გზას, რომელიც დღიდან დაარსებისა მათ ჰქონდათ დასახული. ჩვენი ორგანიზაციები ეზიარენ იმ შეცდომებს მდგომარეობის შეფასებაში, რომლებსაც ანტი საბჭოთა პარტიები იმ თავითვე ადგნენ.

მაგრამ გადის დრო. ბევრი ისეთი რამ, რაც წინათ ჩვენთვის პრობლემატიური იყო, დღეს ჭეშმარიტებათ იქცა. პირვანდელი აღელვება და გატაცება, უკეთ რომ ვთქვათ, ემოციონალური მომენტი სულ უკანა რიგზე დგება და მის ადგილს იჭერს ცივი და მიუდგომელი კრიტიკის, განვლილი პერიოდის რევიზიისა და ახალი ტაქტიკის მოძებნის საჭიროება.

და ეს მით უმეტეს, რომ საერთაშორისო ძალთა განწყობილება და საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობა სულ უფრო და უფრო გარკვეულ სახეს ღებულობს. არავისთვის არ უნდა იყოს საიდუმლო, რომ მსოფლიო ორ მებრძოლ ბანაკად არის გაყოფილი: ერთის მხრით კაპიტალისტური სამყარო, მსოფლიო ფაშიზმი ცდილობს არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას და უსაშინელესი სისასტიკით ებრძვის მუშათა კლასის განმათავისუფლებელ ბრძოლას; მეორეს მხრით მსოფლიო მუშათა კლასს გაფართოებული იერიში მიაქვს ისტორიულად განწირულ კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ამ გიგანტურ შეჯახებებში მუშათა კლასის ხელმძღვანელი და მეთაური კომინტერნია. ჩვენთვის, მარქსისტებისათვის, ერთი რამ აშკარა უნდა იყოს: ამ გრანდიოზულ ბრძოლაში ისტორიული აუცილებლობით უნდა დამარცხდეს კაპიტალიზმი და იმავე ისტორიული აუცილებლობით უნდა გაიმარჯვოს მუშათა კლასმა, როგორც ვთქვით, ამ საბედისწერო ბრძოლაში კომინტერნი ერთად ერთი გენერალური შტაბია, რომელიც ატარებს მთელ მსოფლიოში რევოლუციონურ ენერგიას.

და, ასეთ გადამწყვეტ ბრძოლაში ჩვენ, მარქსისტები, ვერ დავრჩებით ანტისაბჭოთა ჯგუფებში, რადგანაც ეს, სხვა რომ არა იყოს რა, რეაქციის სამსახური იქნება.

მდგომარეობის ასეთ შეფასებას მოყვა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ცნობილი კონფერენცია, რომელმაც დაგმო ძველი გზა, და ამ ორგანიზაციების ლიკვიდაცია

ამას ზედ ერთვის დიდ მნიშვნელობის მქონე ფაქტი: ჩვენი ც. კ-ტის დეკლარატიული განცხადება (გაზეთი „კომუნისტი" № 93), რაც კიდევ უფრო ნათელჰყოფს ჩვენი ორგანიზაციების ლიკვიდაციის საჭიროებას და არსებულ ხელისუფლებასთან საქმიან თანამშრომლობას.

ვითვალისწინებ რა ყველა ზემოაღნიშნულს და სავსებით ვიზიარებ რა ც. კ-ის აღნიშნული დეკლარაციის ყველა დებულებებს, ვდგები საბჭოთა სისტემის პლატფორმაზე და ამიერიდან ვეცდები, შეძლების მიხედვით, საბჭოთა ხელისუფლების გამტკიცებას და რევოლუციის მონაპოვართა დაცვას.

მოვუწოდებ სხვა ამხანაგებსაც, თუ კიდევ არიან დარჩენილი ასეთები, რომელნიც მისდევენ ძველ გზას, გამოერკვენ არსებულ მდგომარეობაში.

ალექსი გიორგაძე.

—

ამხ. რედაქტორო!

1920 წლის ივლისიდან მე ჩავეწერე მენშევიკურ პარტიაში და 1921 წლამდე, საქართველოს გასაბჭოებამდე, იქ მხოლოდ პასიურ როლს ვთამაშობდი. საქართველოს გასაბჭოების დღიდან მექანიკურად დავსტოვე პარტია და მას შემდეგ უპარტიოთ ვითვლებოდი. ამ დროიდან ვცდილობ ჩემი შრომის წვლილი შევიტანო მუშურ-გლეხურ ხელისუფლების გამაგრება-განმტკიცებაში.

ვინაიდან ამის შესახებ მე გაზეთში არაფერი გამიცხადებია, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ეხლა ვაცხადებ ამას საჯაროდ ამხანაგ მუშების საყურადღებოდ და ვიზიარებ იმ პლატფორმას, რომელზედაც ყოფილი მენშევიკების პარტია სდგას: საჭიროდ ვსთვლი განვაგრძო ის გზა, რომელმაც საქართველოს მუშათა კლასი გამოიყვანა იმ ჩიხიდან, სადაც იგი მიიყვანა მენშევიკების ბელადების გზააბნეულმა პოლიტიკამ.

ეს გზა არის მე 3 კომუნისტური ინტერნაციონალის გზა.

მუშა უშანგი ჯაში (ყარამანი)

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სამხედრო კომისარიატის მიმართ.

№ 68.

17 მაისი 1924 წ. ქ. ტფილისი.

ამიერ-კავკ. ფედ. სოც. საბჭ. რესპ. ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 24 აპრილის № 10 დადგენილებისა, საბჭ. სოც. რესპ. კავშირის სამხ. სარევ. საბჭოს ა. წ. № 322 ბრძანებისა, საბჭ. სოც. რესპ. კავშირის სამხ. და საზღვაო სახალხო კომისრის ამიერ-კავკ. სოც. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოსთან რწმუნებულისა და კავკ. წით. დროშოვ. არმიის მიმართ ა. წ. ბრძანებების №№ 216 და 235 თანახმათ, აბხაზეთის და აჭარისტანის სამხედრო კომისრებს და საქ. ს. ს. რ ყველა სამაზრო სამხედრო კომისრებს ვუბრძანებ:

1) გაწვეულ იქნან ჯარში ყველა 1902 წ. დაბადებული მოქალაქენი, მცხოვრებნი საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის, აბხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიებზე;

2) გაწვევა დაიწყოს ა. წ. 25 მაისს და დამთავრდეს ა. წ. 10 ივნისს;

3) გაწვევა მოხდეს—საბჭ. სოც. რესპ. კავშირის სამხ. სარევ. საბჭოს ა. წ. № 322 ბრძანების და საქ. ს. ს. რ. შინაგან საქმ. სახალხო კომისრის და ჩემ მიერ დამტკიცებულ დასტურლამის თანახმად და აგრეთვე გაწვევის შესახებ დამატებითი განკარგულებების მიხედვით

4) კენჭის ყრა 1902 წ. დაბადებულთა ჯარში გაწვევისას უნდა სწარმოებდეს რაიონობრივ ე. ი. თვითეულ რაიონში ცალცალკე.

5) მოცემულ განწესების თანახმათ, სამსახურისათვის ვარგისათ ცნობილ მოქალაქეთა ტერიტორიალურ და ძირედ ჯარის ერთეულში (კადრში) დანიშვნა უნდა სწარმოებდეს პროპორციონალურად რაიონის მცხოვრებთა რაოდენობასთან და ამოღებულ კენჭის რიგის მიხედვით; ამასთანავე ძირედ (კადრში) ჯარის ერთეულებში და აგრეთვე ტერიტორიალურ ჯარის ძირედ შემადგენლობისათვის დაინიშნოს ქართული ენის მცოდნე მოქალაქენი, ხოლო ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობისათვის, როგორც ქართული ენის მცოდნენი, ისე არა მცოდნენიც, დანარჩენი კი ჩაირიცხონ არმიის თადარიგში, მათ წინასწარ დანიშვნით სამხედრო მომზადების ჯარის ერთეულების გარეშე მისაღებათ.

6) გადაიდვას გაწვევის ვადა 1902 წ. დაბადებულ ყველა სამეცნიერო დარგის მუშაკთ, მასწავლებლთ და მასწავლებელთ, თანახმად გაწვევის ვადის გადამდებ ცენტრალურ კომისიის 1924 წ. 18 თებერვლის დასტურლამისა.

7) მიეცეთ 1902 წ. დაბად. მოქალაქეთ ოჯახის მდგომარეობის მიხედვით შეღავათი საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. 5 მარტის დადგენილებაში აღნიშნულ წესის თანახმად.

8) განთავისუფლებულ იქნას სამხედრო ბეგრისაგან სარწმუნოებრივ მოსაზრებით სექტანტები—ამიერ-კავკ. ს. ს. რ. საკავშირო საბჭოს 1922 წ. და 25 ნოემბრის დეკრეტის და საქ. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისრის 1924 წ. 15 იანვრის № 6 საყოველთაო მიმართვის თანახმად.

9) 1902 წ. დაბადებული მოქალაქენი, რომელნიც ჩასარიცხი არიან ზურგის მოლაშქრე ჯარში, როგორც მოკლებულნი აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას, არ უნდა იქნან მიღებულნი წითელ ჯარში, არამედ თანახმად საბჭ. სოც. რესპ. კავშირის სამხ. სარევოლუციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა ა. წ. №№ 2325 | 107847 და რ. მუშ. და გლ. წით. არმიის შტაბის უფროსის ა. წ. № 10/840 საყოველთაო მიმართვებისა, წინასწარ უნდა იქნან დანიშნულნი ზურგის დამხმარე გუნდში; ყველა ზურგის დამხმარე გუნდში ჩარიცხული მოქალაქენი უნდა იქნან აყვანილი საგანგებო აღრიცხვაზე სათანადო განკარგულებამდე.

10) ჯარში გასაწვევ სამხედრო ვალდებულთა საკრებ პუნქტზე უკლებლივ და თავის დროზე გამოცხადების მისაღწევათ—მიემართოს დახმარებისათვის სამაზრო და სარაიონო აღმასკომებს, სასოფლო საბჭოებს და მილიციას, რომელნიც ჯარში გაწვევის დასტურლამის თანახმად ვალდებული არიან აღმოუჩინონ ენერგიული დახმარება ზემოაღნიშნულ მიზნის მისაღწევათ.

11. მოხსენებები ჯარში გაწვევის მიმდინარეობის შესახებ ყოველ 5 დღეში, გამოიგზავნოს საქ. ს. ს. რ. სამხედრო კომისარიატში ამასთანავე დართულ ფორმით და შემდეგ ვადებში: ა. წ. 2-ს, 6-ს და 12 ივნისს.

ჯარში გაწვევის შესახებ ანგარიში წარმოდგენილ იქნას ა. წ. 16 ივნისისათვის ამასთანავე დართულ ფორმით.

12) ყველა ჯარში გაწვევისაგან მორიდებულნი ან საპატიო მიზეზების გარეშე დაგვიანებულნი მიცემულ იქნან პასუხისგებაში საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლის მიხედვით.

13) ამ ბრძანების ასასრულებლად გამოიცეს სათანადო განკარგულება ჯარში გაწვევის შესახებ.

ს. ს. ს. რ. სამხედრო კომისარი—
ბუტულაშვილი.
თანაშემწე ავალიშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ოთხშაბათს, 21 მაისს, დილის 9 საათზე თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება საკლუბო საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგი:

1) კლუბის სალამოს პროგრამა კომინტერნის მეხუთე კონგრესის გახსნის დღეს. მომხსენებელია ამხ. რინენბერგი. 2) საწარმოო კლუბების მუშაობა. 3) საკითხები კლუბების წევრთსაწევროების მოწესრიგების შესახებ.

ვალდებული არიან გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: ჭელიძე, რინენბერგი, იგნატოვი, მ. მჭედლიშვილი, ბუხნიკაშვილი, კაკულია.

თბ. კომ. სააგიტ.-საპროპ. განყოფილების გამგე: პენიაკოვი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მესამე რაიკომი იტყობინება, რომ პარასკევს, 23 მაისს, საღამოს 5 ნახევარ საათზე ერთიანი პარტიული დღის მაგიერ ავლაბრის მუშათა კლუბის შენობაში შესდგება მესამე რაიონის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება.

დღის წესრიგი: 1) თბილისის პარტკონფერენციის შედეგები, საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობა, ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების მესამე ყრილობა. 2) კანდიდატების პარტიის წევრებად ჩარიცხვის შესახებ. 3) მიმდინარე საქმეები.

მდივანი: ვართაპეტიანი.

ხუთშაბათს, 9 საათზე თბ. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება კომისიის სხდომა მუშკორთა შემადგენლობის გადასასინჯავად. დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: გოლდბაუმი, ელისაბედაშვილი, საყვარელიძე, ავენირი, მღებრიშვილი, ლეჟავა, კ-ძე და გაზეთ „მარტალოს" წარმომადგენელი.

თბ. კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე:
ა. პენიაკოვი.

— ოთხშაბათს, 21 მაისს, დღის 1 საათზე, თბილისის კომიტეტის სააგიტ.-საპროპ. განყოფილება იწვევს საავ. საპროპ. განყოფილების გამგეთა თათბირს.

დღის წესრიგი: 1) საშუალო კომისიების მუშაობა და 2) მიმდინარე საქმეები.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: მთავარელიძე, კოგანი, პენიაკოვისა, თუმანიანი და კეკელია.

ც. კ-ის სააგიტ.-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: პენიაკოვი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ნიკოლოზ ალექსის ძე და სოფიო როსტომის ასული, დები ნადია და თამარა დუჩიძეები, მამიდაშვილი გიორგი მიხეილის ძე ჯაბადარი თავისი მეუღლით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს უდროოთ გარდაცვალებას ძვირფასი შვილის

მიხეილ (მიშა) ნიკოლოზის ძე დუჩიძე

დასაფლავება დღეს 21 მაისს ნაშუადღევის 4 საათზე, გამოსვენება მოხდება ელისაბედის ქუჩიდან № 60 წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

1008 2—2

სავალდებულო დადგენილება № 67.

მ. გ. და წ. დ. საბჭოს ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმის

20 მაისი, 1924 წ.

ასანთის ფასების შესახებ

1. თანახმად ა. კ. ფ. ს. რ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის დადგენილების ა/წ. 19 მაისიდან № 5, ნოვტრესტორგის ასანთის ცალცალკე გასაყიდი ფასი, ნოვტრესტორგისა, სავალდებულო ყველა სავაჭრო წარმოებათა და პირებისათვის ქ. თბილისსა და მის მაზრაში (სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო), წესდება 17 კაპ. ხეეულზე და 2 კაპ. კოლოფზე.

2. ბაზრის ფასების მომწესრიგებელ კომისიასა და მილიციას ევალება თვალყურის დევნება აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის.

3. ამ დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან დაპატიმრებით ორ თვემდე, ან ჯარიმით 100 ჩერ. მანეთამდე.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მაგიერი—ჟვანია.

ბაზრის ფასების მომწესრიგებელ კომისიის თავმჯდომ.-რის მოადგ.: რუხაძე.

ნ. 1152—1—1 პრეზიდიუმის მდივანი—თაკაიძე.

თბილისის აღმასკომის საფინანსო განყოფილება

ამით აცხადებს

საყოველთაო საყურადღებოდ, რომ ა/წ. 22 მაისს, დილის 11 საათზე, თავისუფლების მოედ. ყოფ. თამამშევის ქარვასლაში დანიშნულია

საჯარო გაყიდვა

რესტორან „პალასი"-ს მოწყობილობისა, ჭურჭლისა, სუფრა და სხვა სამეურნეობისა და ინვენტარისა.

ნ. 1151—2—1 საფ. განყ. გამგე ბ. გეგეშიძე.

ს. მ. უ. ს.

პოლიგრაფიული განყოფილება გადავიდა

16 მაისიდან ბროსსეს ქუჩაზე № 2

სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ყოფილ ექსპედიციის შენობაში. 1143 3—3

წაღვერში და კეჩხობში

სააგარაკო ნაკვეთების მოიჯარადრეთა საყურადღებოთ

კურორტთა მთავარი სამმართველო ამით მოაგონებს სააგარაკო ნაკვეთების მოიჯარადრეთ, რომ ისინი ვალდებულნი არიან შემოიტანონ სამმართველოს ხაზინაში—(თბილისი, საპიროს ქუჩა № 30) ან ბორჯომში სატყეოში ხელშეკრულობით გათვალისწინებულ ვადაში საიჯარო ქირა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოიჯარადრეთა შესახებ მიღებულ იქნება ზომები, რაც გათვალისწინებულია პირობების მე-3 მუხ.: ჯარიმა, იჯარის გაბათილება, შენობების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა და სხვა.

კურორტთა მთავარი სამმართველო.

ნ. 1148 3—2

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ-რებისთვის

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალოს აწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძ.

ნულობით. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 20. 126—25—12

ექიმი ბ. ბ. მეზრაბიანი

შინაგანი, გულისა და ჰლექით დაავადებულნი. სპეც. ციების წამლობა—შეშხაპ. 914 ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა

რენტგენის სხივებით

იღ. 9—1 ს. დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 28.

895—25—15

დაკარგე სამღრიცხვო ბარათი 1148, ვლადიმერ ზაქარიას-ძე მოსიტაშვილის სახელობაზე, გაცემული მე 9 უბნის კომისარიატიდან, სამხედრო სააღრიცხვო მაგიდის უფროსის მიერ. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1010 1—1

დაკარგე რკინის გზელთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 414777 | 8277, ი. ა. ბოჭორიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ

1011—1—1

დაკარგე თბილისის ოამხლევე სადგურის მიერ მოცემული ... დევის წიგნაკი საბჭოთა მუშაკების კავშირის წევრობისა შამშე ასათიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1015—1—1

დაკარგე პირადი მოწმობა მოცემული არა პირდ. გად. განყოფილების მიერ, მანდატი მოცემული რკინის გზის სამმართველოს მიერ, პროფ. კავშირის საწევრო წიგნაკი და „ზავსის" მოწმობა, თეოფანე აბესაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1016—1—1

დაიკარგა ს. ს. კ. მ. კავშირის წიგნაკები გაცემული შემდეგ ამხანაგებზე: 1. ავაკიანოვი სერგო 1197, 2. აზნაურაშვილი № 1194, 3 ბარნაბოვი ალექსანდრე 1208, 4 ბარაცევიჩი ვიკენტი 1200, 5. გიგოლაშვილი ალექსანდრე 1115, 6. ჯაველიძე პორფირე 1123, 7. დოსამიძე ლევონ 1126, 8 ქორფაშვილი ივანე 1140, 9, კუპრავაძე ნიკოლოზი 1142, 10. ცისკაროვი იოსებ 1216, 11. პაპიაშვილი მოსე 1169, 12. რატიაშვილი ვასილი 1175, 13. სალაყაია ნინა 1179, 14. სტრაჟ ... ხაილ 1178, 15. ხმალაძე ივანე 1187, 16. შახნაზაროვი გრიგ.—1130. ჩაითვალოს გაუქმებულად.

მდგომლეობა.

1018—1—1

ს. ს. ს. რ. ს. მ. უ.

თამბაქოს ტრესტის ბალანსი

1923 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის

აქტივი.

I. თანხები		
1. კასა	353—10	
2 მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	1890—63	2243—73
II. თამასუქები		
გასანაღდებელი თამასუქები		8220
III. სამასალო ღირებულებანი		
1. დამზადებული პროდუქცია	751086—80	
2 მასალები	929372—91	
3 მანქანების ნაწილები	169358—07	
4 სათბობი მასალა	2301—24	
5 საქონელი:		
ა) საწყობში	2347—55	
ბ) დაგზავნილი	131706—56	1986173—13
IV. ქონება		
1. უძრავი ქონება	1827878—25	
2 მოძრავი ქონება	76609—21	
3. მანქანები	1252907—12	
4. ხელსაწყო	5019—47	3162414—05
V. დებიტორები		
სხვადასხვა პირები დ დაწესებულებანი	914622—82	
ანგარიშვალდებული პირები	13971—91	
განყოფილებები	225125—45	
მუშა-მოსამსახურეები	21527—60	1175247—78
VI. გარდამავალი თანხები		16927—57
VII. ზარალი		
1922 წლის	74373—95	
1923 „	95180—44	169554—39
ბალანსი		6520780—65

პასივი.

I. ფონდები		
1. ძირითადი სახელმწიფო	3162414—05	
2. საბრუნავი	2377727—21	
3. საამორტიზაციო	168543—83	5708685—09
II. სესხი		
სპეციალური მიმდინარე ან-ბი სხ. ქვეშ		124856—30
III. კრედიტორები		
1. სხვადასხვა პირები დ დაწესებულებ.	198380—05	
2. განყოფილებები	11922—88	
3. სხვა კრედიტორები	5000—00	215302—93
IV. გარდამავალი თანხები		471936—33
ბალანსი		6520780—65

დამტკიცებულია საქართველოს სახალხო მეურნეობის განყოფილებების და ტრესტების ანგარიშების განმხილველი კომისიის მიერ 1924 წლის 13 მაისს. ცენტრალური ბუხჰალტერიის მიერ ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

ს. მ. უ. ს. სააგნ. განყოფილების გამგე შ. კოჩაკაძე.

ს. მ. უ. ს. მთავარი ბუხჰალტერი ა. ჯაბადიძე.

საქართველოს ს. მ. უ. ს. თამბაქოს ტრესტის დირექტორი ი. პაპიშვილი

მთავარი ბუხჰალტერი ვ. ფოლადოვი

ნ. 1150 1—1